ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

სპეციალობა - საჯარო მმართველობა

მარიკა ძნელაძე

განათლების რეფორმა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე, მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური 2021

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „განათლების რეფორმა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე ასპექტი'' ეძღვნება საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. ქრონოლოგიურად აღწერს საქართველოს განათლების რეფორმებს ძველი საქართველოდან დღემდე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ როგორ იქმნებოდა, ყალიბდებოდა და იცვლებოდა რეფორმა და რეფორმატორები. რა გავლენა მოახდინა თითოეულმა რეფორმამ საქართველოს განათლებსი სისტემაზე.

თემის აქტუალობას წარმოადგენს ის, რომ წარმოდგენილია თითოეული რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარები და მათი გადაჭრის გზები. ასევე განხილულია განათლების მიღების და განვითარების ეტაპები, სახელმწიფო სტრუქურებისა და საზოგადოების ჩართულობა განათლების საკითხში.

თემის მიზანია საზოგადოებას გააცნოს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია განათლების მიღების აუცილობლობა. სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესსში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია ინვაციური ასპეკტები, რაც დასტურდება ჩატარებული სოციალური კვლევით.

Annotation

The master's work "Education Reform and Several Related Aspects" is dedicated to the reforms implemented in Georgia. Chronologically describes the education reforms in Georgia from ancient Georgia to the present day.

The study aims to find out how reform and reformers were created, shaped, and changed. What impact did each reform have on Georgia's education system.

The relevance of this topic is that it introduces the pros and cons of each reform and the ways to solve these problems. The stages of receiving and developing education, the involvement of state structures and society on the issue of education are also discussed.

The aim of the community is to inform the public about the importance of the need for education. Involvement of the state and society in the educational process to improve the quality of education.

The master's work presents and discusses the innovative aspects, which is proved by sociological research conducted.

შესავალი

განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში. ის ემსახურება ადამიანის ინტელექტუალური, ფიზიკური და მოლარული უნარ-ჩვევების განვითარებას და ადამიანის სოციალიზაციის პროცესსში დიდ როლს ასრულებს. იაკობ გოგებაშვილის თქმით ''მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში არის ცოდნა, განათლება.'' მაშასადამე, განათლება არის, ის რაც საჭიროა არსებობისთვის და ის რაც გადაგვარჩენს. განათლება წარმოადგენს თანამედროვე, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი სახელმწიფოს შენების მნიშვნელოვან ფაქტორს. განათლებული ერი ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობაა. განათლებას საქართველოში, განათლების,მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო აკონტროლებს. ისმის კითხვა: რა არის განათლება? ამის უამრავი მოსაზრება და განმარტება არსებობს. საკმარისია თვალი გადავავლოთ ისტორიულ წარსულს, წინ ბევრი საინტერესო მაგალითი გადაგვეშლება. ანტიკური პერიოდიდან დაწყებული დღემდე, 21-ე საუკუნემდე, განათლება გახლავთ სფერო, რომელიც მუდამ უშრეტი წყაროა ადამიანთა ცნობიერებისთვის. საქართველოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს განათლების რეფორმის პროცესი, იცვლება რეფორმატორთა თაობა, მოდიან ახალი განათლების მკვლევრები და სპეციალისტები, განუწყვეტლივ იდგმება ახალი ნაბიჯები განათლების ხარისხის შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად; მაგრამ ისევ და ისევ ახალი რეფორმის იმედებზე ვართ, რადგან თითოეულ პერიოდს და დროთა ცვალებადობას თავისი, ახალი იდეები, რეფორმატორები და რეფორმები მოჰყვება. თავად სიტყვა რეფორმამ, ვფიქრობ, არ უნდა შეგვაშინოს ან დაგვაბნიოს, რადგან ეს რაღაც ახლის დასაწყისი და ძველის დასასრული, მაგრამ რამდენად გამოსადეგია, ამას დრო და თანმიმდევრული პროცესი აჩვენებს. თითოეულ რეფორმას, რა თქმა უნდა, თან სდევს თავისი, რიგი პრობლემები. მაგალითად ის, რომ თითოეული ახალი სახე, ვინც მოვა განათლების სათავეში. თავისებურად ცდილობს სისტემის წარმართვას, რამაც შეიძლება ჩავარდნა მოგვცემს ამ სფეროში, ან პირიქით გატარებულმა რეფორმამ წინ წასწიოს ქვეყნის

განვითარება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ცვალებადია და ერთ კონკრეტულ შედეგს ვერ იძლევა, მაგრამ მთავარია - დაშვებული შეცდომების გამოსწორება და პროგრესული, წიგნიერი, განათლებული და ერუდირებული ნაბიჯების გადადგმა.

თემის აქტუალობა: განპირობებულია თანამედროვე მსოფლიოში განათლების მნიშვნელობით და მასში გასატარებელი რეფორმების აუცილებლობით, ასევე განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები და მიმდინარე გლობალური ტენდენციების შესაბამისი საკვანძო ცვლილებებით. ასევე თემის აქტუალურობას განსაზღვრავს საზოგადოების მოთხოვნილება, რომ ქვეყანაში არსებული განათლების დონე უAტოლდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ქვეყანში იყოს შესაძლებელი ხარისხიანი განათლების მიღება, როგორც განათლების საწყის, პროფესიულ და უმაღლეს ეტაპზე. ასევე განათლების სფეროში საზოგადოების ჩართულობასაც დიდი მნიშვნელობა აკისრია, რასაც თემის ძირითად ნაწილში განვიხილავთ.

მიზნები: გამომდინარეობს საკვლევი თემის აქტუალურობიდან. ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ ის ასპექტები, რაც დაკავშირებულია განათლების რეფორმებთან, გავარკვიოთ, თუ რამდენად ხარისხიანად ყალიბდება და მიმდინარეობს რეფორმა, როგორი განათლების მიღებაა შესაძლებელი. ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ საქართველოში განათლების და მეცნიერების განითარების მთავარი მიმართულებები და პროპრიტეტები, აღმოვაჩინოთ გატარებული რეფორმის ხარვეზები.

ამოცანები: ნაშრომის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს შემდგომში: ბერკეტების ძიება და ჩვენება ხარისხიანი განათლებისთვის, განათლების ხელმისაწვდომობ,ა აღმოიფხვრას ის პრობლემები, რაც არასასურველი რეფორმების გატარების გზით დაგროვდა, ვეძებოთ და დავნერგოთ სიახლეები, რაც მომგებიანი

აღმოჩნდება განათლების სისტემისთვის. თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხეები და წინასწარ განვჭვრიტოთ გასატერებელი რეფორმის ხელსაყრელობა.

კვლევის მეთოდები: აღნიშნულ ნაშრომთან მიმართებაში ვეყრდნობით სოციალურ კვლევას, რომელიც დაფუძნებულია როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებზე.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად ნაწილს (რომელიც დაყოფილი იქნება თავებად და ქვეთავებად), რეკომენდაციებს და დასკვნებს.

პირველი თავი . განათლების რეფორმეა ტერმინთა გარმანტებანი მოიცავს განათლების სისტემის არსის მნიშვნელობას, მის ჩამოყალიბებას, განვიხალთ ტერმინთა მნიშვნელობებს და მათ დანიშნულებას განათლების სისტემაში. რომელიც შედგება 2 ქვეთავისგან: I.1 რა არის განათლება? I.2 რა არის რეფორმა).

მეორე თავი „**ქართული განათლების საკითხის ისტორიული რაკურსი" შედგება 2 ქვეთავისგან, სადაც მიმოვიხილავთ საკითხის შესწავლის ზოგიერთ თეორიულ და ისტორიულ ასპექტს.** ვისაუბრებთ და განვსაზღვრავთ რიგი რეფორმების გატარებას საუკუნეების მანძილზე რა შედეგი მივიღეთ. განვიხილავთ ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების და თანამედროვე განათლების რეფორმების რამდენიმე ასპექტსა თუ თავისებურებას. გავეცნობით თუ როგორ იღებდნენ განათლებას ანტიკურ საქართველოში და პირველად სად დაირწა განათლების აკვანი. მიმოვიხილავ მე-19 საუკუნის სასწავლო რეფორორმებთან დაკავშირებულ საკითხებს, ქართული ენის საკითხის და ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საკითხს.

მესამე თავი ეთმობა თანამედროვე განათლების სისტემას, თუ რა ცვლილებები მიმდინარეობდა **XX-XXI საუკუნეში,** რა გარდატეხა მოხდა განათლების სისტემაში, როგორ აუწყო ფეხი თანამედროვეობამ ახალ ცვლილებს, რამდენად მომგებიანი

აღმოჩდა გატარებული მეთოდი განთლების სისტემისთვის, გატარებული რეფორმის ნაკლოვანებამ რა ზეგავლენა იქონია საზოგადოებასა და განათლებაზე, ყველაზე მტკივნეულად ვის შეეხო წარუმატებელი რეფორმის გატარება და რა მეთოდს მივმართავთ იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ დაშვებული შეცდომები ასევე მიმოვიხილავთ უმნიშვნელოვანეს თანამედროვე მტკივნეულ რეაოლობას, თუ რა გავლენა მოახდინა კორონა ვირუსმა (COVID19). მე-6 თავი შედგება 1 ქვე სათაურისგან **III განათლების განვითარების თანამედროვე ეტაპებს.** განხილულია 2004-2012 და 2012-2020 წლის განათლების რეფორმების საკითხი. **დასკვნითი ბოლო IV თავში განხილულია ახალი საგანმანათლებლო გამოწვევა - კორონა ვირუსი, 4.1** განათლება პანდემიის პერიოდში.

მეხუთე თავი დაეთმობა სოციალურ კვლევას და მიღებული შედეგების ანალიზს. დასასრულს, წარმოდგენილი იქნება ნაშრომის დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

განათლების მიღების უფლება აქვს ყველას, რადგან განათლება წარმოადგეს ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობას. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლება არის სანთელი სიბნელეში და პიროვნებად ჩამოყალიბების უპირობო საწინდარი. თანამედროვეობაში განათლების მიღება დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგეს. მსოფლიო გლობალიზაციამ შესაძლებელი გახადა, რომ მინიმალური განათლება ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი, მაგრამ ეს განათლება რამდენად ხარისხიანია ეს უკვე სადავო საკითხია, რადგან განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა, ვფიქრობ არასდროს დასრულდება და მუდმივად ცვალებადი იქნება. საქართველოში ბოლო ორი ათეული წელი მიმდინარებს განათლების რეფორმირების შესწავლის პროცესი. განათლების მიღების ტაძრად სკოლა ითვლება, სწორედ სკოლა არის ათვლის წერტილი იმისა, რომ უზრუნველყოს, მოამზადოს და საფუძველი ჩაუყაროს განათლების შემდგომ განვითარებას. განათლების რეფორმა და მისი ასპექტების მიმოხილვა და შესწავლა კი გვძლევს იმის

საშულებას, გამოვავლინოთ დროთა განმავლობაში განათლების სისტემაში გარდამტეხი და მნიშვნელოვანი პროცესები.

საინტერესო იქნება, აგრეთვე სოციალური კვლევა და პასუხები - თუ რა იცინიან განათლების სისტემის შეხება? რა არის განათლება? როგორ მოსწონთ გატარებული რეფორმები? რას შეცვლიან განათლების სისტემაში? იღებენ თუ არა ხარისხიან განათლებას სასწავლო დაწესებულებებში? ასრულებს თუ არა დაწესებულებები თავიანთ როლს? თითოეული კითხვა მართლაც, რომ თანმიმდევრულად შესასწავლია, მაგრამ რამდენად გათვითცნობიერებულნი არიან ამ საკითხებში, ეს სხვა პრობლემაა. ზოგადად განათლებაზე როცა ვსაუბრობთ, ეს ცალმხრივი არასდროს არაა, ეს მიზეზშედეგობრივი საკითხია და საზოგადობის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით განათლების მიღებას ციფრული ტექნოლოგიებით. ეს აზრი დღეს ორად იყოფა. საზოგადობის ნაწილი ფიქრობს, რომ ციფრულმა განათლებამ და ინფორმაციაზე მარტივად წვდომამ, თაობა გააზარმაცა, ისინი ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობას დაავიწყდათ წიგნთან მუშაობა. ნაწილი ფიქრობს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები და ვირტუალური ურთიერთობები დროის დანაკარგის შემსუბუქებაა, და ყველაფრის სახლიდან გასვლის გარეშე გაკეთება შეიძლება. ასევე გვერდს, ვერ ავუვლით იმ ვითარებას, რომელიც კორონა ვირუსმა დატოვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამ გლობალურმა პრობლემამ ყოველი ერის ყველა მოსწავლე თუ სტუდენტი კომპიუტერს მიაჯაჭვა, ეს რა თქმა უნდა დიდი დაბრკოლება იყო ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, რადგან ჩვენი ქვეყნის რეგიონების გარკვეულ სოფლებსა თუ დაბებში ინტერნეტთან დაკავშირების პრობლემა იყო. გარდა ამისა საზოგადობის დიდი ნაწილი კიდევ ვერ ეგუებოდა და ვერ უწყობდა ფეხს ამ პროცესებს და მიაჩნდათ, რომ უფრო შეფერხდა განათლების განვითარება.

განათლების რეფორმირების პროცესი რომ არაპროგნოზირებადია, ამის მრავალი მაგალითი არსებობს და გვსმენია. საინტერესო და გასათვალისწინებელია

ის ფაქტი, თუ რას გავაკეთებთ ამის მოსაგვარებლად, რომ შევქმნათ, ჩამოვაყალიბოთ და მივიღოთ ისეთი განათლების სისტემა, როგორიც ჩვენ გვსურს, რომ ვიყოთ უფრო განვითრებული, მტკიცე და ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო.

I. განათლების რეფორმეა ტერმინთა გარმანტებანი

1.1 რა არის განათლება?

საყოველთაოდ აღიარებული აზრის თანახმად, განათლება წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ აუცილებელ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. ყველას აქვს ზოგადი განათლების მიღების უფლება, რომ განავითაროს საკუთარი პიროვნება და შეიძინოს ცოდნის გარკვეული უნარ-ჩვევები. შესაბამისად, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა თითოეული სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტია. დღეს, როდესაც ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი იწერება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლებული, ერუდირებული და პროფესიონალი თაობების აღზრდას. კაცობრიობის ცხოვრება განათლების სფეროში გადის. მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საკითხი დიდი ძალისხმევასა და პერსპექტივებს მოითხოვს. განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებმა უნდა განსაზღვროს ჩვენი თანამედროვე და სამომავლო პოტენციალი. ეს კი მოითხოვს განათლების როლს, ადგილს, მისი ისტორიული დანიშნულების სრულიად ახლად გააზრებას და რაც მთავარია, მეცნიერულ მართვას. განათლება სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, განათლების სისტემის რეორგნაზაციის მიზანია „განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განათლების სისტემის მართვა გახდეს დემოკრატიული და გამჭირვალე. ჩვენი ქვეყნის უდიდესი მოამაგე და მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა: „განათლება იმისთანა თვისებაა ბუნებითად, რომ თავს მალევე ვერ იჩენს, იგი ნელ-ნელა შედის ცხოვრებაში თვალისათვის უჩინრად, ხელისათვის შეუხებლად. ამისთანა საქმისთვის რვა, ათი, ოცი და ორმოცი წელილწადი წვეთია ზღვაში:

მოდგმამ მოდგმა უნდა სცვალოს, შთამომავლობამ შთამომავლობა, რომ განათლება დასანახი და საგრძნობი შეიქმნესო".[14] ბოლო წლების განმავლობაში განათლებისა და მეცნიერების სისტემამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. განათლება ასოცირდება სკოლასთან და სკოლას როგორც განათლების მამოძრავებელ მთავარ რგოლს, გააჩნია უნიკალური შესაძლებლობები სწავლა-აღზრის საკითხში. გარდა სკოლისა, სიტყვა განათლება უფრო ფართო ასპექტს მოიცავს, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა საფეხურის საგანმანთლებლო ერთობლიობა, რომელიც ქმნის მთლიან ქსელს, რომელიც განათლების მიღების საჭიროებასთანაა დაკავშირებული. როცა ვსაუბრობთ განათლების სისტემაზე, უნდა ამოვიდეთ იმ თვალსაზრისიდან, როგორიცაა ქვეყნის ისტორიული წარსული და რეალობა, ვინაიდან ტერმინი განათლება სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, სხვანაირად ხასიათდება, რადგან ყოველ ქვეყანს თავიანთი უნიკალური საგანამათლებლო სისტემა და მიდგომა გააჩნია. თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ფაქტია საამაყო გვაქვს. ამ მხრივ საინტერესო და ქმედითუნარიანი ნაბიჯები, რა თქმა უნდა, კვლავ აქტიურად გრძელდება.

1.2 რა არის რეფორმა?

ადამიანის აღზრდა-განათლება ხანგრძლივი და რთული პროცესია და ამავდროულად, აუცილებელიც. ამგვარ უწყვეტ ჯაჭვში ყველა იმ რგოლს, რომლიც ადამიანის განვითარებასთან არის დაკავშირებული, მნიშვნელოვანი და უნიკალური როლი აკისრია. სწავლა-აღზრდის პროცესი ერთიანი ჯაჭვია, რომელიც ოჯახიდან იწყება. ოჯახში მიღებული ცოდნა და ქცევა სამომავლო განვითარების აუცილებელი პირობაა. ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. წლების მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა თუ ქვეყნის გარე და შიგა მომხდარმა სხვადასხვა ფაქტორებმა, მთლიანად მოშალა ქვეყნის როგორც ეკონომიკა, ასევე კულტურა და განათლებაც. საქართველოში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა განათლების რეფორმირების პროცესი. იცვლებოდნენ თაობები, მოდიოდნენ ახალი განათლების მკლევრები და თითოეულ მათგანს შემოჰქონდა

ფაქტობრივად ინდივიდუალური რეფორმირების პროცესი. ყოველი ახალი რეფორმის მიზანს წარმოადგენდა ძველი პოსტ-საბჭოთა სისტემის გარდაქმნა და ახალი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებდა მსოფლიო ბაზარზე წამოჭრილს სტანდარტებს. საქართველომ ზოგადი განათლების **4** ძირითადი ეტაპი განვლო: **1) 1991-1996 2) 1996-2003 3) 2003-2012 4) 2012-დღემდე** 1992 წელს საქართველო გამოეყო საბჭოთა კავშირს მოიპოვა დამოუკიდებლობა, შესაბამისად შეიცვალა ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ასევე განათლებისა და კულტურის მდგომარეობაც. ამ პერიოდში საქართველომ განათლების რეფორმირება რუსეთისგან დამოუკიდებლად დაიწყო. დაიწყო რიგი ღონისძიებები **და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება (1993). გაიწერა განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამა(1994). შეიქმნა დებულება საქართველოს პედაგოგთა ატესტაციის შესახებ (1996). დაიწყო ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების შექმნა (1996) და სხვა.** უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი საგანმანათლებლო რეფორმის ნაბიჯები უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე მოხდა. 2003 წლამდე სანამ საქართველოს ბაზარზე გამოჩნდებოდნენ სხვა საგანმანათლებლო დონორი ორგანიზაციები, რეფორმები ძირითადად ქართული სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობდა. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ძირეულად შეიცვალა ქვეყნის მდგომარეობა. ხალხმა გაცნობიერებულად დაწყო დემოკრატიული სახელმწიფოს თავიდან შენება. ცვლილებები რა თქმა უნდა, შეეხო განათლების სისტემასაც. **2004 წელს დამტკიცდა „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, 2004 წელს შეიქმნა „ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრი“ . 2006 წელს შეიქმნა „ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი“. 2007 წელს შეიქმნა „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ და სხვა.** აღნიშნული ცენტრები ატარებდნენ მრავალ ღონისძიებას სხვადასხვა მიმართულებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი მკვლევარი, რომელიც გარკვეული გზით მოვიდოდა განათლების სისტემაში, მოჰქონდა

განსხვავებული იდეები და რეფორმები, რომლის პროცესი დღესაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარებს და დაწვრილებით მომდვენო თავებში ვისაუბრებთ.

II. ქართული განათლების საკითხის ისტორიული რაკურსი

2.1 განთლება იწყება შუმერებიდან

განათლების წარმოშობაზე თუ საიდან აღმოცენდა იგი მრავალი თვალსაზრისი არსებობს, ამჯამად მინდა ვისაუბრო გაანთლების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე. განათლების აკვანი შუმერებში დაირწა (დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. ძვ.წ IV-III ათასწლეულებში ცხოვრობდა ძველი სამყაროს ერთ-ერთი ცივილიზებული ხალხი შუმერები). შუმერული სკოლის წარმოშობა დამწერლობის, კერძო ლურსმული დამწერლობის შექმნასთანაა დაკავშირებული, რომლის გამოგონებითა და შემდგომი სრულყოფით შუმერელებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში. პირველი წერილობითი ძეგლებიც ეკუთვნის შუმერებს და პირველი სკოლის დაარსებაც, რამაც მსოფლიო ცივილიზაციას და განვითარებას დაუდო სათავე. ცხადია, შუმერულში არ არსებობდა არც სავალდებულო და არც საყოველთაო სწავლება. სწავლობდნენ მდიდარი ოჯახის შვილები, ღარიბებს არც მაგის ფული დ დრო არ ჰქონდათ. სკოლას სათავეში ედგა „უმმია“, ვისაც სკოლის მამას ეძახდნენ მოსწავლები კი სკოლის შვილები იყვნენ. მასწავლებლის თანაშემწეს „დიდი ძმა“ ერქვა მას ევალებოდა კალაგრაფიისთვის ფირფიტების შეკეთება და საზეპირო მასალების მოსმენა. შუმერული სკოლების სწავლის ტექნიკაზე და მეთოდზე მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია, ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, დილით როგორც კი მოსაწავლეები მივიდოდნენ სკოლაში, განიხილავდნენ იმ ფირფიტებს, რომლიც წინა დღეს დაწერეს, შემდეგ ''დიდი ძმა'' ანუ მასწავლებლის დამხმარე ახალ ფირფიტებს ამზადებდა, რომელიც მოსწავლეების უნდა გადაეწერათ. შუმერულ სკოლბში სწავლა ორი ძირითადი პრინციპით მიმდინარეობდა: მეცნიერული და ტექნიკური გზა და ლიტერატურულ შემოქმედებითი გზა. საინტერესო იქნებოდა იმის ცოდნა, ჰქონდათ

თუ არა შუმერულს მოსწავლეებს პროფესიის არჩევის საშუალება? სამწუხაროდ მსგავს ფაქტებზე ინფორმაცია არ მოგვეპოვება. მოკლედ რომ აღვწეროთ, შუმერული სკოლა და სწავლის მეთოდები პირქუში, მშრალი და მოსაწყენი იყო. ადამიანის ევოლუციასთან ერთად განათლების ფორმებიც იდგამდა ფეხს. განიცდიდა რა ასიმილაციას ჩვენს შესაძლებლობებთან, ადგენდა ახალ გზებსა და საშუალებებს. განათლებას საქართველოში დიდი ისტორია აქვს. განათლების სისტემამ ხანგრძლივი გზა განვლო და მრავალჯერ შეიცვალა. ახლა მას საქართველოს განათლების სამინისტრო აკონტროლებს. საქართველოს სახელმწიფომ განვითარების რთული გზა განვლო, მუდმივი შიდა და გარე ომები, დამპყრობლები საუკუნეების განმავლობაში კლავდნენ ქართველი ხალხის როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ კულტურასა და ტრადიციას. შესაბამისად, ეს სირთულე განათლების სისტემაზეც აისახებოდა. ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, კლასიკურად რომ ვივარაუდოთ, რუსეთის ანექსიამდე საქართველოს არ ჰქონია განათლების ერთიანი ჩამოყალიბებული სისტემა, მაგრამ ბერძნული ისტორიული წყაროებიდან შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურ საქართველოში გავრცელებული იყო „გიმნასიონები“. სავარაუდოდ, ეს „ქართული გიმნასიონები“ ათენში არსებული სამი გიმნასიონის – ლიკეონი, აკადემია და კინოსარგოსი – ერთგვარი ანალოგია უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ახ.წ. აღ. III-IV საუკუნეში კოლხეთში, ფაზისის მახლობლად არსებულ რიტორიკულ სკოლას ძველი ბერძნული მსგავსად მოვიაზრებთ. შემდგომ პერიოდში განათლებამ ეკლესია-მონასტრებში გადაინაცვლა. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა ეკლესიებთან სკოლების გახსნ განათლების კერების მთავარ მიზნად „მწიგნობარი მსახურის“ აღზრდა მოიაზრებოდა, მაშინდელ სამონასტრო სკოლებში საღმრთო წერილსა და ეკლესიის მსახურების გარდა ასწავლიდნენ თეოლოგიას, ფილოსოფიას, გრამატიკას, რიტორიკა და ბუნებისმეტყველებაც, რაც სწავლულების სააღმზრდელო საქმიანობას უფრო მრავალფეროვანს ხდიდა. „ასწავლიდნენ განათლების მიღების ერთ-ერთ გზას ასევე შინ სწავლება წარმოადგენდა. თაობიდან თაობას ცოდნა

ძირითადად დედის ხაზით ხდებოდა, დედები ასწავლიდნენ შვილებს ანბანს, წერა-კითხვას და აყვარებდნენ მშობლიურ ენას. სწავლება ამ პერიოდში 6-7 წლის ასაკიდან იწყებოდა. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც კონკრეტულადაა დასახელებული სასწავლებლად მიცემულ ყრმათა წლოვანება. სასწავლო პროცესს სპეციალურად მოწვეული მასწავლებლები წარმართავდნენ. გრიგოლ ხანძთელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთში შექმნილ სამონასტრო კომპელქსებში, საგანმანათლებლო პრცესების ორგანიზება და მოწყობა. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი გრამატიკა, ენა, და მიმართულება. ეს არის ის პირველი შემთხვევა, როცა სახელმწიფო წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცის უშუალო დამკვეთს და თანამონაწილეს. სასკოლო სწავლება და განათლება დაწინურდა მაშინ, როცა ქართველებმა ბიზანტიური განათლებსი მიღება დაიწყეს. განათლების რეფორმირებისა და გავრცელაბა-განვითარების შემდგომი ეტაპები ბერვად მრალფეროვანია.

2.2 დამწერლობის ისტორია

როდესაც ვსაუბრობთ განათლებაზე, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ საკითხს, რომელიც დამწერლობის წარმოშობას უკავშირდება. დამწერლობა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ მისი წყალობით მოაღწიეს ჩვენამდე ძველმა ისტორიულმა ძეგლებმა და დღეს უკვე არარსებულმა ენებმა. დამწერლობას და მის დისციპლინას სწავლობს ორი მეცნიერებ **პალეოგრაფია და ეპიგრაფია.** **პალეოგრაფია**-სწავლობს ძველ დამწერლობათა სისტემას. (შესაბამისად არსებობს ქართული, ბერძნული, სომხური, და სხვა პალეოგრაფია) **ეპიგრაფია**-მაგარ ზედაპირზე (ქვა. ხე ..) შესრულებულ წარწერებს.

დამწერლობა ადამიანთა განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა. ძველად ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციას ზეპირი მეტყველების მეშვეობით ან ჟესტური მიმიკებით ახერხებდნენ. გარკვეული ეტაპის შემდეგ კი პიქტოგრამული დამწერლობა რაც გულისხმობს ისეთ დამწერლობას, როდესაც აზრის გადმოცემა

ნახატებით ხდებოდა შესაძლებელი. „ისტორიის მამად“ წოდებული ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე სპარსეთის მეფის დარიოსის ლაშქრობის აღწერისას მოგვითხრობს, რომ „როცა სპარსელებმა სკვითებს დამორჩილება მოსთხოვეს, სკვითებმა მათ ჩიტი, ბაყაყი,თაგვი და ისარი გაუგზავნეს, ეს იყო ერთგვარი პასუხი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: თუ თვენ ჩიტივით არ შეგიძლიათ ფრენა, თუ თაგვივით მიწაში და ბაყაყავით წყალში დამლვა მაშინ ნუ გექნებათ ჩვენი მორჩილების იმედი და ჩვენს ისრების რისხვის გეშინოდეთო“ ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, პირველი საფხური ადამიანის გონებვრი განვითვირების. ისტორიული წყაროების მიხედვით დამწერლობის შემქმნელებლად ითვლებიან ეგვიპტელები და შუმერები.

დღეისათვის მსოფლიოში 14 დამწერლობა არსბობს: ლათინური, სლავური, არაბული,ჩეხური, იაპონური, ინდური, ეთიუპიური, ბერძნული, კორეული, ებრაული, სომხური, ქართული, სირიული და მონღოლური.

როგორც ვხედავთ, ქართულ ანბანს დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს დამწერლობათა შორის. არსებობს **სამი სახის ქართული დამწერლობა**: **ასომთავრული(მრგლოვანი), ნუსხური და მხედრული.** მათგან უძველესი **ასომთავრულია**, რომლის ხელნაწერებსაც XI-საუკუნემდე ვხდებით. თითოეულ მათგანს სახასიათო გრაფიკული სტილი აქვს, თუმცა ასოთა მოხაზულობის ცვალებადობის თვალსაზრისით ნუსხური ასომთავრულის განვითარების შედეგია, მხედრული კი - ნუსხურისა. **ნუსხური** დამწერლობის მაგალითები IX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ მთლიანად ნუსხურით შესრულებული ხელნაწერები მხოლოდ XII საუკუნიდან არსებობს. ნუსხურის პარალელურად კვლავ იყენებდნენ ასომთავრულს ეპიგრაფული წარწერებისთვის, ასევე ხელნაწერებში სათაურებისა და საზედაო ასოების შესასრულებლად. ნუსხური დამწერლობა დღემდე გამოიყენება საეკლესიო ლიტერატურაში. **მხედრული** თანამედროვე ქართულ ანბანს ეწოდება და მისი მაგალითები XI საუკუნიდან გვხვდება. თანამედროვე ქართულ ანბანში 33 ასოა. ძველ

ანბანში 38 ასო-ნიშანი იყო, რომელთაგან 5 ილია ჭავჭავაძისეული, რომელიც რეფორმის შმდეგ აღარ გამოიყენება. 3 ანბანის თანმიმდევრული განვთარება ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა მართლაც, რომ ბევრს ნიშნავს.

2.3 განათლება დავით აღმაშენებლის პერიოდში

მე-12 საუკუნე განათლების მხრივ ბევრად დატვირთული და მნიშვნელოვანია, რადგან ევროპაში ჩნდება პირველი უმაღლესი სასწავლებლები უნივერსიტეტები. უნივერსიტეტის სტატუსის მისაღებად საჭირო იყო პაპის კურთხევა. პირველი უმაღლესი სასწავლებელი გაჩნდა იტალიაში ქალაქ ბოლონიაში. ბოლონიის შემდეგ უნივერსტეტები ჩნდება საფრანგეთში, ინგლისში გერმანიის ქალაქებში და დანარჩენ ევროპაში. საქართველოში XI-XII საუკუნეები წარმოადგენს განათლებისა და კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს, ბოლო პერიოდში წარმოებულმა კვლევამ აშკარად დაგვანახა, რომ ამ დროისთვის ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი საკმაოდ დიდია. აღსაღნიშნავია ის ფაქტიც , რომ XI-XII საუკუნეში სწავლების პროცესსში დიდი ყურადღება ექცეოდა ბავშვის ბუნებრივ მონაცემებს, რასაც ადრე პლატონი, არისტოტელე და შემდგომ სხვა ჰუმანისტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. გიორგი მცირე ამბობდა, რომ ''ბავშვის ბუნება ისეთ მონაცემების შემცვლელია, რომელიც უნდა განისწავლოს, უნდა აღიზაროდის და ამ მხრივ გარკვეული მიმართულება მიეცეს''.

ეს ეპოქა დაკავშირებულია დავით IV აღმაშენებლის სახელთან. მეფე დავითი წიგნის დიდი მოყვარული იყო. სადაც კი წავიდოდა, წიგნი თან დაჰქონდა და კითხულობდა. სწორედ მისმა ასეთმა წიგნიერებამ განაპირობა იყალთოს, გელათის, გრემის აკადემიების დაარსება, სადაც ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, გრამატიკა, მუსიკა, ასტრონომია. ამ მონასტრებში სამოღვაწეოდ მან საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანა ქართველი მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, მათ შორის, იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. აქტიურად

ეხმარებოდა საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურისა და განათლების ცენტრებს. მასწავლებლის ნაცვლად აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენებოდა „მოძღუარი“. „მოძღუარი“ აღნიშნული ხანის ქართულ დოკუმენტებში სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა და იგი „მოძღუარის“, როგორც მასწავლებლის ცნებაში არ უნდა ავურიოთ. ,,მატიანე ქართლისაჲ”, მაგალითად, ახსენებს ,,მღვდელთ-მოძღუარს”, რაც მღვდელთაწინამძღოლს, მეთაურს ნიშნავს. ამ პერიოდში განვითარებული იყო როგორც საერო, ასევე სასულიერო სწავლება. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროიდანვე მოზარდებს ასწავლიდნენ უცხო ენას, სკოლებში ასევე ისწავლებოდა დიალექტიკა, იურისპოდენცია, არითმეტიკა და სხვა. სწავლების ასეთი მაღალი, დახვეწილი და გრანდიოზული დონე ცხადია, ისეთ მნიშვნელოვან ადამინებს იძლეოდა, როგორბიც იყვნენ არსენ იყალთოელი, შოთა რუსთაველი, იოანე შავთელი. ასევე არ უნდა დაგვავიწდეს ის, რომ დავითმა 40 ქართველი ყმაწვილი გაგზავნა ბიზანტიაში უცხო ენების შესასწავლად და ქართულად წიგნების სათარგმნელად, მეფე დავითს მჭიდრო და მეგორული კაშირი ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან მისი ძლისხმევით ძალიან ბევრმა ქართველმა ათენში მიიღო განათლება. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ნაწარმოები "გალობანი სინანულისანი", რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაა, რაც დღემდე აქტუალურია ქართულ ლიტერატურაში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ამ ეპოქის უდიდესი მოღვაწეა შოთა რუსთაველი და მისი ფრიად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული საგანძური „ვეფხისტაოსანი“, რომელიც ქართველი ხალხსი საამაყო ძეგლია არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადად ჩანს, რომ XII საუკუნეში განვითარდა საერო მწერლობა. ამის მაგალითია, როგორც უკვე აღინიშნა შოთა რუსთაველის ‘’ვეხისტყაოსანი’’, იოანე შავთელის ‘’აბდულმესია’’, ჩახურიძის ‘’თამარიანი’’ და სხვა საერო ხასიათის თხზულებები, მაგრამ სამწუხაროდ ბევრს მათგანს ჩვენამდე ვერ მოუღწევია. XIII საუკუნიდან იწყება განუწყვეტელი შემოსევები, მონღოლების თარეშმა მძიმე

დაღი დაასვა საქართველოს კულტურასა და განათლებას. განადგურდა ისტორიული ძეგლები, დაინგრა ეკლესია-მონასტრები, დაიწყო სარწუმნოებისთვის ბრძოლა რამაც დააკნინა ქართული ენა. მონღოლთა ბატონობა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას მძიმე ტვირთად აწვებოდა ყიზილბაშობამ და ოსმალობამ შეცვალა. ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და მოღონიერება მხოლოდ მცირე დროით თუ მოხდებოდა. გარედან მოწოლილ აგრესიას შიდა ომებიც ემატებოდა რამაც სრულიად მოშალა ქვეყნის მთლიანობა. ცხადია ასეთი ვითარება, რაც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, XI-XII საუკუნეებში აღმავლობის გზაზე მდგარ ქვეყანას ნიადაგს მოუშლიდა. მიუხედავად ამ მძიმე მდგომარეობისა, ქართველი ხალხი მაინც მხნედ იდგა და უფრთხილდებოდა წინაპართა დანატოვარს. XVI-XVII საუკუნეებში კულტურისა და განათლების ერთ-ერთი ცენტრი თბილისი იყო. XVII საუკუნიდან სწავლა-სწავლების სისტემა მოიცავდა როგორც სასულიერო ისე საერო განათლებას. შეიძლება ითქვას, რომ ხალხის ინტერესი უფრო საერო განათლებისკენ იყო მიმართული. თეიმურაზ პირველი თავის ნაწარმოებში აღნიშნავს : ” არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო”. სწავლა–სწავლების პროცესი ამ პერიოდში ისევ ფეოდალთა ოჯახებში ხორციელდებოდა, სამეფო კარზე მეფეთა ოჯების წევრები განათლებას ღებულობდნენ სპეციალური მასწავლებლების საშუალებით ან თვითგანათლებით. მეორე მნიშვნელოვან სიახლეს კი კათოლიკე მისიონერების მიერ სკოლების დაარსება წარმოადგენდა. პირველი კაპუცინები (კათოლიკე ბერები), რომლებმაც საქართველოში სკოლა დააარსეს, თბილისში ჩამოვიდნენ 1662-1663 წლებში. სკოლაში ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, იტალიურს, ლათინურს, გალობას, ანგარიშს. სკოლაში მომზადებული ბავშვებიდან ყველაზე უფრო ნიჭიერებს, 15-20 წლის ასაკში აგზავნიდნენ რომში პროპაგანდის კოლეგიაში სწავლის გასაგრძელებლად.

ამ საუკუნის განათლების დარგში აუცილებლად უნდა ვახსენოთ სულხან-საბა ორბელიანი და მისი შემოქმედება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი “სიტყვის კონა”, წარმოადგენდა სასწავლო სახელმღვანელოს. ‘’სიბრძნე სიცრუისა’’ კი

დიდაქტიკურ-მორალისტურ ხასიათის ნაწარმოებს.სულხან-საბა ორბელიანის მსოფლმხედველობა, მისი პედაგოგიკური შეხედულებანი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული, მთელი მისი შემოქმედება იმდროინდელი საზოგადოების საგანმანთლებლო და აღზრდის საკითხით იყო მიმართული.საბა, როგორც ''მოძღვარი'' დავითგარეჯში პედაგოგიკური მოღვაწეობას ეწეოდა, სწორედ გარეჯში ყოფნის დროს დაუწერია ''**საქრისტიანო მოძღვრება პირველას სასწავლო ყრმათათვის, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი**'' სათაური მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახელმძღვანელო ყრმათათვის იყო განკუთვნილი. აქვე უნდა ვახსენოთ სულხა-საბას **''ქართული ლექსიკონი''**, ქართული კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი შენაძენი, რომელიც დღესაც არ კარგასვ თავის აკტუალობას და სამაგიდა წიგნადაა ქცეული. საქართველო მარავლჯერ დაცემულა და ისევ აღმდგარა ფერფლისგან, ბევრი განსაცდელი გადაუტანია და გასაჭირიც. ოდითგანვე ებრძოდნენ და დღესაც ებრძვნიან მაგრამ, ჩვენ ქართველ ხალხს არ დაგვიკარგავს მხნეობა, იმედი, ერთობა, რწმენა და რაც მთავრია ერისა და ენის სიყვარული. მიუხედავას მრავალი შავ-ბნელი პერიოდისა ჩვენმა წინაპრებმა მახვილითა და ბრძოლით მოგვიტანეს ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება. შეუძლებელია ის ყოველივე დავატიოთ 4 ფურცელზე რაც საქართველომ განათლებისა და კულტურის შენარჩუნებისთვის გამოიარა და ის, რომ დღეს ჩვენ პირში სული გვიდგას და ქართულად ვმეტყველებთ ჩვენი დიდებული, მეფეეების, განამანთალებლების და კულტურულ-ისტორიული ძეგლების დამსახურებაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს სახელმწიფომ განვითარების რთული გზა გაიარა მუდმივი შინდა და გარე ომების ფონზე ნელა და შეფერხებით მიმდინარეობდა როგორც კულტურული განვითარება ასევე განათლების ერთიანი ცეტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებაც, რა თქმა უნდა საუკუნეების ჭრილში იყო აღმავალი პერიოდებიც მაგრამ მაინც იმდენად მდგრადი არა, რომ განათლების სიტემაში ერთიანი სტრუქტურა ჩამოყალიბებულიყო, კლასიკური გაგებით, რომ ვთქვათ საქრთველოს სახელმწიფოს რუსეთის მიერ ჩვენს ანექსირებამდე არ ჰქონია. მაგრამ ფაზისის

უმაღლესი რიტორიკული სკოლის, სამონასტრო კომპლექსებში განხორციელებული მწიგნობრული ცოდნის დაგროვება-გავრცელების პროცესის და, შემდეგ ეტაპზე, ვახტანგ მეექვსისა თუ იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობის მაგალითზე, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვისაუბროთ ქართული განათლების სისტემის, როგორც წინამდებარე საძირკველზე.

2.4 განათლება XIX საუკუნეში (ქართული სკოლები, სასაწვლებლები, ქართული ენის საკითხი, ქართველი განმანათლებლები)

საგანმანათლებლო სივრცეები XIX საუკუნის საქართველოში

XIX საუკუნის II ნახევარი საქართველოს ხანგძლივი ისტორიის ყველაზე რთული პერიოდია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი ხალხი არ შეგუებია დამპყრობელთა რეჟიმს და მთელი მონდომებით იბრძოდნენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება საქართველოს სხვადასხვა მხარეში პირველი მნიშვნელოვანი ფაქტი არის ის, რომ გაუქმდა ბატონყმობა. დასრულდა ქვეყნის სამთავროებად დაყოფა, სამშობლოს უბრუნდება უძველესი ქართული მიწა- აჭარა მიმდებარე კუთხეებით და ქვეყანაში იწყება ახალი ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის მძლავლი ეტაპ ამ მოძრაობას სათავეში ფართო ერუდიციის მქონე და საკუთარ ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყავრებული ადამიანები ედგა. ეს წლები ცნობილია, როგორც კულტურისა და განვითარების დარგში დიდი ცვლილებებსია და გარდაქმნის პერიოდად. სამოციანელები ქართული ვინაობის აღდგენასა და ავტონომიური საზოგადობოებვრ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისთვის იბრძოდნენ. 1879 წელს შეიქმნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება,'' ისინი რუსეთის მთავრობის მავნებლურ საგანმანთლებლო სისტემას დაუპირისპირდნენ. განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებმა: ი.ჭავჭავაძემ, დ. ყიფიანმა, ი.გოგებაშვილმა და სხვებმა მიზნად დაისახეს ქართული სკოლიების

გახსნა. მათ კარგად ესმოდათ თუ რა როლი ეკავა განათლებას, ამიტომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გადაწყვიტეს, რომ სწავლა განათლება გლეხებსაც მიეღოდ, რადგან გლეხებისა და გაჭირვებული ოჯახებისთვის გაანთლების მიღება დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა. ხელისუფლების გამთიშველი პოლიტიკა ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას. ამ სირთულეების წარმატებით დაძლევაში ასევე უდაოდ დიდი როლი შეასრულა ქართველმა სამღვდელოებამ. იაკობ გოგებაშვილი წერდა : ” ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერ არ დაბადებულა, მას დანიშნულებად აქვს ერის განათლება”. ამ საზოგადოებამ პიერველ ეტაპზე სკოლები დააარსა თბილისში, ბათუმში, წინარეხში, თიანეთში, ხელთუბანში, გომარეთში.გარდა სკოლებისა 1870 წელს დაარსდა საბავშვო ბაღი. საზოგადოებას უფლება ჰქონდა, რომ დაეარსებინა სამკითხველოები, ბიბლიოთეკები, მოეწვია სკოლებისთვის მასწავლებლები, გამოეცა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები. 1879 წელს საზოგადოებამ მიიღო გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ თუმცა სახსრები არ ჰყოფნიდათ, ამიტომ საზოგადოებამ შეადგინა განცხადება, რომლშუიც ასახული იყო წიგნების შემოწირვის წესი , შეაგროვა ხელნაწერები და გამოაქვეყნა პრესაში, განცხადებას უმალვე მოჰყვა სხვდასხვა დიდგვაროვანთა რეაგირება და საზოგადოებას ფული და წიგენბი შესწირა, საბოლოოდ კი 1882 წელს დაარსდა ბიბლიოთეკა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი სკოლა გახსნა 1880 წელს თბილისში, ჯამში გახსნეს 33 სკოლა. 1883 წელს ილია წინამძღვრიშვილის ინიციატვითა და ხარჯებით შეიქმნა ახალი ტიპის სკოლა. ეს იყო ე.წ. საავტორო სკოლა, რომელიც წარმოადგენდა ამ პროფილის(სახელობით) ერთადერთ სასწავლებელს ამიერკავკასიაში. XIX საუკუნის 20-40-იან წლებში თბილისში იყო 18 კერძო სკოლა, უმთავრესად ვაჟთა და ქალთა პანსიონების სახით. რა თქმა უნდა, უფრო მეტი სკოლის გახსნაც მოახერხებდნენ, მაგრამ სახსრები არ ჰყოფნიდათ, თუმცა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ მამული, ენა, და სარწმუნოება. ყველა ძალა იღონეს, რომ პატარა ერი ერთმუშტად შეეკრათ და ისევ აეღორძინებინათ

კულტურა. დღეს, რომ დამოუკიდებელი ერი ვართ და ვსაუბრობთ ქართულად ჩვენი დიდი წინაპარი მოღვაწეების დამსახურებაა. აღნიშნულ ‘’წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას’’ მოგვინაბით თერგდალეულებიც კი უწოდეს, რადგან მათ უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს ქართული კრიტიკული რეალიზმი. სკოლებისა და განათლების ხსენებსასთან ერთად არ შეიძლება, გვერდი ავუროთ ქართულ სახელმძღვანელოებს განსაკუთრებით კი ისეთ საგუნძურს, რომელიც დატოვა იაკობ გოგებაშვილმა: ” დედა ენა” და “ბუნების კარი”. რომელიც გამოიცა 1876 წელს. იაკობს სიკვდილამდე არ შუწყევტია ზრუნვა და საზოგადო მოღვაწეობა, მან დიდი სოფელ ხოვლეში დაარსა სკოლა და პაწაწინა სოფლის ცხოვრებაში შეიტანა განთლება. ის აქტიურად და უსასყიდოლოდ ეხმარებოდა განათლების მიღებაში იმ ოჯახებს, რომლებსაც საუშუალება არ ჰქონდათ. იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურება მიუძრვის ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებისა და გამოცემის საქმეში. ის იყო ერთ-ერთი პირველი ვინც, გადააღებინა ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები. გარდა სკოლების ასეთი თანმიმდვრული განვითარებისა, რომელშიც დიდი წვლილი ჩვენს დიდი მოამგეებს მიუძღით, პარალელურ რეჯიში მინდა ვახსენო ქართული ენის მდგომრეობა საბჭოთა საქართველოში.

რეფორმის შემდგომ პერიოდში კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდებოდა ხელისუფლების ინტერესი განათლების განვითარებისადმი. მეფის ხელისუფლება ცდილობდა ევროპის სწრაფგავითარებად ქვეყნების მიბაძვით გაეფართოვებინა საგანმანათლებლო სისტემა განსაკუთრებით დაწყებით სკოლებში. მოსწავლეთა რიცხვი საქართველოს სკოლებში მნიშვნელოვნად იზრდებოდა.თუ 1890 წელს 240 დაწყებით სკოლაში 17030 მოსწავლე სწავლობდა, იმავე სკოლაში 10 წლის შემდეგ 1900წელს კი 22701 მოსწავლე იყო. დუშეთის დაწყებით, ორკლასიან სკოლაში 1980 წელს სწავლობდა 79 მოსწავლე. 1900 წელს კი 120. ქუთაისი ქალთა ორკლასიან დაწყებით სკოლაში სწავლობდა 170 და 223, ლანჩხუთის ორკლასიან სკოლაში 152 და

423 მოსწავლე და სხვა. რაც შეეხება თბილისსა და ქუთაისის გუბერნიების სკოლების შეფარდებას არის შემდეგი:

გუბერნიები	**სკოლების რაოდენობა- 1890 წელს**	**სკოლების რაოდენობა - 1900 წელს**	**მოსწავლეთა რაოდენობა- 1890 წელს**	**მოსწავლეთა რაოდენობა- 1900 წლს**
თბილისის	**118**	**202**	**8531**	**14581**
ქუთაისის	**122**	**240**	**8399**	**19545**

1885 წლისათვის საქართველოში 46 **კერძო სკოლა** იყო. აქედან 38-თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიაში კი 8. კერძო სკოლები გადანაწილებული იყო შემდეგნაირად, არსებობდა როგორც ვაჟთა და ქალთა კერძო სკოლები, ასევე სკოლები სადაც ორივე სქესისთვის იყო განკუთვნილი. 1890 წელს საქართველოში იყო 38 კერძო სკოლა 2317 მოსწავლით. მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ მოწინავეები იყვნენ საზოგადოებვრივი სკოლები: თბილისის სააზნაურო სკოლა (146 მოსწავლით). ქუთაისი სააზნაური სკოლა (260 მოსწავლით), ძველი სენაკის სააზნაურო სკოლა (113 მოსწავლით) და სხვა. კერძო სკოლების რიცხვი ხშირად იცვლებოდა, ყოველწლირად ბევრი იხურებოდა და შემდგომ ბევრიც იხსენბოდა. 1900 წელს არსებული კერძო სკოლიდან **ვაჟთა სკოლა იყო-15, ქალთა-6, და შერეული-39**. ყველა სკოლაში სწავლობდა 3900 მოსწავლე. საიდანაც **ვაჟი მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა -2748 და ქალი-1152.** რაც შეეხება აჭარას, პირველი ქართული სკოლის დაარსების იდეა მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების პირველივე დღეს ჩაისახა. ილია თვლიდა, რომ აჭარაში რაც შეიძლება მეტი სკოლა უნდა გახსნილიყო რასაც გამოეხმაურა ქართული ინტელიგეცია და პრესა. **1881 წლის 23 მარტს** ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. სკოლის გახნას დაესწრო ''ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება'' გამგეობის სხდომაზე აირჩიეს პირველი მასწავლებელი **ალექსანდრე ნანეიშვილი.** მასწავლებლის არჩევის გარდა კიდევ ბევრი რამ იყო მოსაწერიგებელი, საზოგადოებამ სკოლას უქირავა 3-ოთახიანი

ახალი სახლი ეზოთი მაშინდელ ახმედიანის ქუჩაზე, ეს იყო ერთკლასიანი სახალხო სკოლა სწავლების ოთხწლიანი კურსით. ისწავლებოდა საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა.პირველ სკოლაში სწავლობდა 28 მოწაფე .სკოლაში სწავლობდნენ როგორც ქალები ასევე ვაჟები. სკოლაში მოწაფეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა.

1859 წელს თბილისსში გაიხსნა ბავშთა თავშესაფარი, რომელშიც საწარმოებში დასაქმებული მშობლების ბავშვებს იღებდნენ. საბავშვო ბაღი ღია იყო, როგორც სკოლანდელი, ასევე უმცროსი ასაკის ბავშვებისთვისაც. 1865 წელს თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსდა მეორე საბავშვო ბაღი. აქ მხოლდო სკოლანდელი ასაკის ბავშვებს იღებდნენ 1868 წელს კდიევ 2 ბაღი შეემატა თბილისს. საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოვებსათან ერთად, ჩასახვას იწყებდა სკოლანდელი აღზრდის დაწესებულიების გახსა. რომლის განხორცილებაში დიდი როლი შეასრულა ივ. როსტიაშვილმა. როცა ვახსნეებთ სასკოლო განათლებას, რა თქმა უნდა პირველი რაც თავში მოგვივა ესაა ანბანი და სახელმძღვანელოები თუ რითი უნდა ისწავლოს ბავშვმა. გასული საუკუნის სამოციან-ოთხმოციან წლებსშ თითო-ოროლა ქართული სახემძღვანელო და დამხმარე წიგნი თუ არსებობდა. ისიც თუ არსებობდა იყო ქართულად ნათარგმნი წიგენბი. ეს ფაქტი ბუნევრია აღელვებდა ქართულ ინტელიგეციას ი. გოგობაშვილი წერდა ‘’სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხსი განათლების მსვლელობაში’’.ქართველი პედაგოგების მთავარ საზრუნავს ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენა წარმოადგენდა და შესაბამისად მოლოდინმაც არ დააყოვნა, ქართული სახელმძღვანელობის შედგენაში დიდი დამსახურება ი. გოგობაშვილს მიუძღვის **1865 წელს გამოიცა მისი ‘’ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისათვის’’ 1876 წელს გამოიცა ი. გოგობაშვილის ‘’დედა ენა’’** რომელიც ისწავლებოდა სკოლებში და რომელმაც არაერთი თაობა გაზარდა. ზევით მოყავანილი მასალებიდან გარკვეული წარმოდგენა გვაქვს გასული საუკუნეების სკოლებისა თუ მასთან გათანანაბრბეული სხვადასხვა

დაწესებულების შესახებ აქვე მინდა მოკლედ, ორიდოე სიტყვით აღვწერო ის თუ რა ვითარება იყო უმაღლესი განათლების მხრივ, თუცა დასაწყისსშივე აღვნიშნავ, რომ სამწუხაროდარც თუ ისე სახარბიელო. სკოლისა და გიმნაზიების გარდა საქართველოში 60-80 წლებში უმაღლესი სასწავლებებლბი არ გაგვაჩნდა, ქართველ საზოგადობას კი სწავლის მიღების წყურვილი ჰკლავდა, ისინი ქართველი მოღვაწეებისაგან მოითხოვდნენ შეუპოვრად ებრძოლად უმაღლესი სასწვლებელბლისათვის. ქართველი საზოგადობა იძულებული იყო განათლება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რუსეთში მიეღო რაშიც დიდად ხელს უწყობდა ქართული ინტელიგენცია. ქართველი სტუდენტების დასახმარებლად აგროვებდნენ შემოწირულობებს . თუმცა შეგოვებული დახმარება ყოველთვის საკამრისი არ იყო და ბევრი ახალგაზრდა ვერ ასრულებდა სწავლას, გარდა უსახსრობისა ყველაზე რთული ქართველი სტუდენტებისთვის რუსეთის კლიმატიც კი წარმოადგენდა. ბევრად უარეს მდომარეობაში იყვნენ უმაღლესი სწვალის მსურვლი ქართველი ქალი ახალგაზრდები, მათთვის დახშული იყო უნივერსიტეტის კარები და მხოლოდ ევროპაში თუ შეეძლოთ სასურველი განათლების მიღება ისიც გარკვეულ ფაკχულტეტებზე რაც ძალიან დიდი ფუფუნება იყო, შესაბამისად ვერც ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში მიდიოდნენ სასწავლებლად. ქართველი საზოგადო მოღვაწეები მოიხოვდნენ, რომ ქალებსაც ესწავლათ რუსეთის სასწავლებლებში ბევრ სხვადასხვა დარგში შეძლებოდათ ეცადათ ბედი და მხოლოდ ჰუმანიტარული საქმიანობით არ ყოფილიყვნენ დაკავებულნი. ქართველი ინტელიგენცია იმედს არ კარგავდა, რომ მალე თავიანთ ქვეყნაში შეძლებდნენ უმაღლესი კერების გახსნას და გზას გაუკაფავდნენ ახალგაზრდებს პროფესიბის დაუფლებაში. ქალთა განათლების საკითხის ილია ჭავჭავაძე ა ყოველთვის ანიჭებდა უპირატესობას. ყოველოვე ის, რასაც ილია ამბობდა და წერდა ბავშთა და მოზარდთა აღზრდა-განათლების შესახებ ერთნაირად ეხებოდა, როგორც ქალებს ასევე ვაჟებს. იმდროინდელი ბურჟუაზიაული საზოგადოება სამწუხაროდ ქალს ვერ აღიქვამდა, როგორც შემოქმედ და ინიციატიური აზროვნებსი მქონე ადამიანად. ბურჟუაზიული

ქალის დანიშნულება მხოლოდ დიასახლისობა წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე ასეთ დაბეჩავებულ ქალს ხედავდა, როგორც სხვაგან ასევე საქართველოშიც. ამიტომ ის მუდამ ედგა ქართველ ქალებს გვერდით, რომ მიეღოთ სათანადო განათლება და დაემკვიდრებინათ თავი საზოგადოებაში. უმაღლესი განათლების მიღებისათვის აუცილებელი იყო გქონოდა ისეთი განათლება, რომელიც უმაღლეს სკოლებში ისწავლებოდა, მსგავს სკოლებში კი ვაჟები სწავლობდნენ. ქალები განათლებას გიმნაზიებში ღებულობდენ, რომელში მიღებული ცოდნა არ იყო საკმარისი უმაღლეს სასაწვლებელში შესასვლელად. ამიტომ ქალებს უნდა ჩაებრებინათ გამოცდები ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის სკოლის მიხედვით, რაც მეტად აფერხებდა მათ მდგომარეობას. ამიტო ილია ჭავჭავაძე მწუხარებით აღნიშნავდა, რომ ქალებისთვის უმაღლესის კარები არ უნდა ყოფილიყო დახშული და ყოველანაირად ცდილობდა, რომ პროგრეს მიეღწია ამ საკითხში და მეტწილად მოახერხა კიდეც. ქალთა განათლების ერთ-ერთ მიზეზად ილია ასახელებდა იმას, რომ ისინი უნდა მოემზადებინა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, როგორც ოჯახებში ასევე სკოლებში. განათლებული დედა ოჯახში-ბავშვების აღმზრდელი, განათლებული ქალი კი სკოლაში მასწავლებელი. ილიას აზრით ასეთი მიდგომით მივიღებდით განათლებულ ერს, რომელიც შექმნიდა უკეთეს მომავალს.

2.5 ქართულ ენასათან დაკავშირებული საკითხი

ყველა ერთან ენა ასოცირდება სამშბლოსთან, ჩვენისთანა მცირე ერისთვის კი მშობლიური ენა ყველაზე სენსიტიური და მნიშვნელოვანი თემაა. ალბათ ყველასთვის ცნობილია ის რეჟიმი, რომლიც რუსეთის ანექსიამ დანერგა საქართველოში, ყველაზე მტკინეულად ეს კი ენას შეეხო. კერძოდ, ენობრივი ბარიერი იწვევდა ეკლესიის და საზოგადოების გათიშვას, ხალხის სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესუსტებას, რითაც სასულიერო წოდება თანდათანობით ჰკარგავდა მათზე ისტორიულად დაკისრებულ ეროვნულ დანიშნულებას ბერვ რიგით პრობლემებს იწვევდა. რეჟიმის სისასტიკემ არანაკლებ მძიმე ხვედრი არგუნა სკოლასაც - უცხო ენაზე აგებული სასწავლო პროცესი მინიმალურადაც ვერ

უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის ბუნებრივ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. რუსული სკოლა მიზნად ისახავდა რეჟიმს შეგუებული, საზოგადობის დამორჩილებას, რომლებსაც უკეთეს მომავალზე ფიქრის და განსჯის უნარი აღარ ექნებოდათ. ცარიზმი იმ საზოგადოების ნაწილში, რომლებიც ბედს შეგუებული იყვნენ ახერხებდა კაპიტალისტური სულისკვეთების ჩანერგვას, რაც წყვეტდა ქართველი ერის მთლიანობას. ''დაყავი და იბატონე'' მსგავსი პოლიტით და მიდგომით ადვილად ახერხებდნენ საზოგადოების მართვას. არსებულ მდგომარეობას ქართველი ინტელიგენტები არ ურიგდებოდა და ცდილობდნენ ყმაწვილებში ქართული ენისა და დედა-ენის სიყვარული ჩაენერგათ. ჟურნალ ''ცისკრის'' 1865 წლის მეორე ნომერში მოწაფე მიხეილ ბათანოვი წერს: ''განათლება არის დამოკიდებული გონების გახსნაზედ და არა სხვა ენაზედ,რომელიც მას სრულიად არ ესმის''. ცარიზმი სპობდა ყოველგვარ ქართულ სულისკვეთებას, უამრავი წერილი იწერებოდა ჟურნალ გაზეთებში. 1873 წლის 22 ნოემბერს გამოქვეყნდა წესები, რომლის მიხედვითაც ქართული ენა ისწავლებოდა მხოლოდ პროგიმნაზიულ სკოლებში, ისიც მშობლების ხარჯით. ქართული ენის განდევნა ეროვნული სკოლებისთვის დიდი დაბრკოლება და დათრგუნვა იყო. ქართული ენის განდევნა განსაკუთრებით მძაფრი იყო სამეგრელოში. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი მეგრული ანბანი იყო, რუსი მეთაური ამას იმით ხსნიდა, რომ მეგრელები მათთვის უცხო ქართულ ენაზე შედგენილი ანბანით სწავლობდნენო და არა ქართული ანბანითო. ამიტომ აკრძალეს მეგრული და ქართული და სავალდებული ენა მხოლოდ რუსული დატოვეს, სკოლებშიც რუსულუად ასწავლიდნენ, რასაც არ ეგუებოდა მეგრელი საზოგადოება და ქართულ ენას ჩუმად ასწავლიდნენ. გარდა იმისა, რომ აკრძალეს ქართულად სწავლა-განათლება, აკრძლაული იყო ქართულ ენაზე გამოცემულიყო სახელმძღვანელოები და ის მწერლები ვიცნ შეპარვით და დამალულად ახსენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში რუსეთის გატარებულ რეჟიმს, მკაცრად იდევნებდნენ. საბჭოთა საქართველოში ენობრივი დაგეგმარების 2 ღია და დახურული სახე არსბობდა: 1) ''ღია დაგეგმვა''-რაც გულისხმობდა იმას, რომ

სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენაზე იქმნებოდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რუსულად ტარდებოდა დედაქალაქის ან რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და ადმინისტრაციული სხდომები, რუსული სავალდებულო ენა იყო ყველა სკოლასა და სასწავლებელში, რუსულად იწერებოდა დისერტაციები, რუსული თარგმანით გადიოდა ფილმების უდიდესი ნაწილი კინოთეატრებსა და ტელევიზიაში. 2) ''დახურული დაგეგმვა''- ხორციელდებოდა ცენზურით. ცენზურის მიერ, რამდენიმე მიმართულებით ხდებოდა სიტუაციის მართვა. რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ფილოსოფიური, ფილოლოგიური ან სხვა ნაშრომები პარალელი უნდა გავლებულიყო რუსულთან და პარალელი რუსეთის კულტურაში და ისტორიაში უნდა მოძებნილიყო. აუცილელებლად ყველა მოყავნელი პერსონაჟი პოზიტიური უნდა ყოფილიყო და თან რუსი წარმოვვლობის. მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო ქართული ენისა და კულტურის ხსენება. სამსახურებში მხოლოდ აჰყავდათ ისინი ვინც ფლობდა რუსულ ენას. ამგვარი ვითარება არა მარტო რუსულის უბრალოდ ცოდნას, არამედ რუსულის კარგად ცოდნას მოითხოვდა. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს პრაქტიკული ალღო უკარნახებდა, მოეძებნა გზა რუსულის დასაუფლებლად. ყველაზე იოლი და იაფი გზა ბავშვის რუსულ სკოლაში შეყვანა იყო. უფრო ძვირადღირებული გზა რუსი ძიძა ან რუსულის კერძოდ დაქირავებული მასწავლებელი გახლდათ. ზოგი ოჯახი ცდილობდა, შინ რუსულად ლაპარაკით "გაეტეხა ენა" ბავშვისათვის. ამგვარი ვითარება ცხადჰყოფდა, რომ ან ბედს უნდა შეგუებოდნენ და დამორჩილებოდნენ არსებულ ვითარებას, ან ფეხზე წარმომდგარიყვნენ და ერთსულოვნად ებრძოლათ იმჟამინდელი ვითარების წინააღმდეგ. ჩვენმა წინაპრებმა, ქართველმა მამულიშვილებმა იტვირთა ქართული ენის სიყვარული, დიალექტი, კულტურა, სამშობლოს სიყავრული და ისტოერიებით მოიტანა ჩვენამდე და დღის უმთავრეს საკითხად და ანდერძად სამშობლოს სიყვარული და ქართული ენის შენარჩუნება დაგვიტოვეს.

საფრთხის წინაშე აღმოჩდა ქართული ეკლესაც, დამყრობლებმა იცოდნენ, რომ თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ზრხვების განხორცილებას ვერ შეძლებდნენ თუ საეკლესიო რეფორმებს არ გაატარებდნენ. 1811 წელს გაუქმდა ავტოკეფალია და 1815 წელს ''საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა'' შეიქმნა. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ ეგუებოდა საღვთისმსახურებო ტრადიციაში ასეთი უხეში ნორმების გატარებას. განსაკუთრებული სიმძაფრით კი საზოგადოება ეკლესიიდან ქართული ენის აღკვეთას განიცდიდა. სართო ჯამში რუსი დამპყრობლების მიზანმიმართულმა მიდგომამ, რომელიც ქართული ენის სრულ მოსპობა-განადგურების და ქართველი გენის გადაგვარბისკენ იყო მიმართული, მნიშვნელოვნად შეაფერხა და დსწია ჩვენი ქვეყნის კულტირული, ისტორიული და საგანმათლებლო განვითარების საკითხი. 1978 წლის 14 აპრილს, თბილისსა და ბათუმში ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა. საბჭოთა საქართველოს მოქალაქეები აპროტესტებდნენ კომუნისტური პარტიის მცდელობას, რომელიც ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი შეცვლისკენ იყო მიმართული. დემონსტრანტების უმრავლესობას სტუდენტები და მოსწავლეები წარმოადგენდა, თუმცა საპროტესტო გამოსვლებს მხარს უჭერდნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. აღნიშულ მოვლენებს გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ პრესაშიც. 15 აპრილს ჟურნალ ''New York Times''-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საბჭოთა ქართველები ქუჩებში გავიდნენ საკუთარი სახელმწიფო ენის გადასარჩენად“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მომიტინგეთა რაოდენობა დაახლოებით 20,000 იყო. დიდი მცედლობის შედეგად საქართველომ მიაღწია სასურველ შედეგს და დღეს კი ჩვენ , რომ ქართულად ვსაუბრობთ და სახელმწიფო ენა არის ქართული ჩვენს წინაპრებს უნდა ვუმადლოდეთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა. მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობათა შორის ერთ-ერთის ქართული ფლობს. მისი სიძველიდან გამომდინარე, ქართულმა ენამ გაიარა, განვითარების სხვადასხვა საფეხური, გაუძლო უამრავ ისტორიულ

ქარტეხილს და დღემდე ღირსეულად უჭირას თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიოში. ცხადია ის ფაქტი, რომ ენის სიმდიდრეს უპირველესად ლექსიკური ფონდი მოცულობა განსაზღვრავს. ლექსიკა ყველაზე ცვალებადი და მოქნილი ნაწილია ენისა. ყოველ ენას, მათ შორის ქართულ ენასაც, ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები გააჩნია , რომელთა შორის გამოირჩევა: სიტყვათწარმოება, ლექსიკური დიალექტი და ნასესხები სიტყვები. ყოველ ამ საშუალებას ქართული ენა დასაბამიდან დღემდე იყენებს და ეს პროცესი გრძელდება, ამიტომაცაა ქართული ენა ერთ-ერთია მდიდარ ენებს შორის და ამას არაერთი წერილობითი კულტურული ძეგლი მოწმობს. ნიშანდობლივია, რომ ქართველი ერი ერთადერთია მსოფლიოში, რომელმაც დედაენას ძეგლი დაუდგა.

2.6 უმაღლესი სასწავლებლის იდეა - პირველი უნივერსიტეტის ჩამოყალიბება

საქართველომ განვითარების რთული გზა გაიარა, როგორც კულტურული ასევე განათლების თვალსაზრისით. წინა თავებში განხილულმა მოვლენებმა ნათლად გვიჩვენა თუ, როგორ ცდილობდნენ ქართველი განმანათლებლები ფეხზე დაეყენებინათ ქვეყანა და განათლება მიეცათ ქართველი ახალგაზრდობისთვის. მხოლოდ სკოლებში მიღებული განათლება არ იყო საკმარისი თავის დასამკვიდრებლად, ამიტომ წერა-კითხვის გამავრცელელბელი საზოგადოება იბრძდა, რომ ქვეყანაში დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი, გახსნილიყო უნივერსიტეტი და ახალგაზრდებს განათლება მიეღოთ არა ქვეყნის გარეთ არამედ თავიანთ სამშობლოში.

რა იყო იდეა? რატომ ეწოდა სწავლების ორგანიზაციის გარკვეულ ფორმას უნივერსიტეტი? სწავლა-სწავლება, რა თქმა უნდა, მანამდეც არსებობდა, მაგრამ უნივერსიტეტის პირველი ჩანასახი გაჩნდა **ბოლონიაში** , 1208 წელს კი

პარიზში. როგორც უკვე ვახსენე, სწავლა-სწავლების პროცესი მანამდეც არსებობდა, თუმცა ეს ხდებოდა რელიგიურ სივრცეში, ამიტომ ის არ იყო თავისუფალი რელიგიური დოგმებისგან. უნივერსიტეტის წარმოშობა დაკავშირებული იყო სამართლის სწავლებასთან პირველი ლექტორიც იურისტი გახლდათ, რომელიც მეფის კარზე არსებული კანცლერის მოადგილე იყო იტალიაში მე-11 საუკუნეში.

უნივერსიტეტი არის დაწესებულება თავისი რეალური მიზნებით. ეს მიზნები მიიღწევა სულიერი ამაღლებსი გზით, თავის მხრივ ეს უკანასკნელი გამოდის ყოველგვარი რეალობის საზღვრებიდან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შემდგომში კდიევ უფრო ნათლად და ურყევად დაუბრუნდეს მას.

უნივერსიტეტი, როგორც გლობარული და ლიბერალური დაწესებულება, პასუხისმგებელია სწავლის მაღალ ხარისხზე და მიზნდ ისახავს დახმარება გაუწიოს სწავლის მსურველებს ეფექტური მრავალფუნქციონალური განათლების მიღებით. სწორედ უნივერსიტეტში ეყრება საფუძველი პროფესიულ ცოდნას, რომელიც მოითხოვს მეცნიერული ჩვევების გამომუშვებასა და სულის წრთობას.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლებისთვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა. მე-19 საუკუნის 60- იან წლებში გამოჩენილმა ახალმა მოძრაობამ-განმანათლებლობამ, განსაკუთრებით კი განმანათლებლების მეთაურმა ილია ჭავჭავაძემ პირველმა წამოჭრა ეს იდეა. მე-20-ე საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება. 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა "ქართული

თავისუფალი უნივერსიტეტის” საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. 1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად მხოლოდ ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა დაარსებულიყო, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახლა 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, დიმიტრი უზნაძე, ვანდა ღამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ანდრია ბენაშვილი, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, გრიგოლ წერეთელი. 1919-1920 წლებში თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდა შემდეგი ფაკულტეტები:

1) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც მოიცავდა: (ფსიქოლოგია,ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ისტორია, სიტყვიერება, ეკონომიკა)

2) მათემატიკის ფაკულტეტი 3) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 4)საექიმო ფაკულტეტი

თავდაპირველად უნივერსიტეტში ირიცხებოდა 1801 სტუდენტი და 79 თავისუფალი მსმენელი. 1922 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი , რომლის ბაზაზე 1928 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს

პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამავე წელს (1922წ) უნივერსიტეტმა გამოუშვა პირველი კურსდამთავრებულები მათ შორის იყვნენ: ს.ჯანაშია, შ. ამირანაშვილი, კ. ბქრაძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქოვანი და სხვანი. თსუ-ში შემოღებული იყო ერთი სამეცნიერო ხარისხი - მეცნიერების დოქტორი ანუ მოძღვართმოძღვარი, რომელიც დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს შეესაბამებოდა. პირველი დისერტაცია პროფესორთა საბჭოს წინაშე დაიცვა ა. შანიძემ 1920 წლის 9 მაისს და მიენიჭა მეცნიერების დოქტორის ხარისხი. 1921 წლის 21 თებერვალს, როდსაც საბჭოთა არმია თბილისის საზღვრებს მოადგა, უნივერსიტეტის ეზოში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმდროინდელმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს ბრძოლისკენ მოუწოდა.

"ყოველ ჩვენგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა ახსოვდეს, რომ "იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ძველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ახალი, კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არა თუ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან".

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. საქართველოს დამოუკიდებელი ქვეყნის გამოცხადებამდე, ერთ-ერთი სწორი და დიდი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადადგა ქართული უმაღლესი სასწავლებლის- პირველი უნივერსიტეტის დაარსება იყო. სწორედ უნივერსიტეტს დაეკისრა ერის სულიერებაზე ზრუნვის, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების ისტორიული მისია. ამასთან მის ძირითად გამოკვეთილ მიზანს კვლავ წარმოადგენს საქართველოში თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, კულტურისა და მეცნიერების განვითარება, ერის ცივილიზაციის დონის ამაღლება. ამიტომ, დღესაც ქართველი ხალხი თბილისის უნივერსიტეტს სიყვარულით და პატივისცემით მეცნიერების

წმინდა ტაძარს უწოდებს. 1918 წელს დაარსებულ პირველ უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

III. XXI საუკუნის განათლება და მასთან დაკავშირებული მოვლენები

3.1 განათლების საფეხურების მიმოხილვა

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შენების და ეკონონომიკური რელსების გაუმჯობესების პარალელურად, სახელმწიფო რეალურ საქმიან ნაბიჯებს დგამდა განათლების რეფორმირების ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ მთავრობის უშუალო რეკომნედაციით განათელბის სამინისტომ შეადგინა ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებდა განათლების კანონებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ზოგად განათლებას, რადგან მწყობრში მოეყვანთ განათლებსი სისტემა. როგორც უკვე აღვნიშნეთ 1995-1996 წლებში საქართველოში შემოსვლა დაიწყო დონორმა ორგანიზაციებმა, რომელთა მეშვეობით საქართველო დაუახლოვდა და გაეცნო საერთაშორისო განათლების სივრცეებს, რასაც ბუნებრივია მოჰყვა გარკვეული ახალი ფორმები, რას უცხო აღმოჩდა ქართველი იმდროინდელი პედაგოგებისთვის, რადგან ახალმა სტანდარტებმა მოითხოვა განსხვავებული პედაგოგიური მიდგომები, რომელიც სავსებით უცხო იყო საბჭოთადროინდელი პედაგოგებისთვის. 1997 წლის 27 ივნისს წელს საქართველომ მიიღო კანონი განათლების შესახებ, რომლის საშუალებებით მართავდა განათლების სისტემაში მიმდინარე პროცებს, თუმცა აქვე მინდა აღინიშნოს ის, რომ განათლების მინისტრი, რომელიც მოვიდოდა ქვეყნის სათავეში მაინც თავისი გარკვეული ცვილებები შეჰქონდა და ასე გრძელდება დღესაც. **ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და**

აკრედიტაციის პირობებს. აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებს.

განათლების პოლიტიკის სექტორში მნიშვნელოვანი წელად შეიძლება დასახელდეს 2000 წელი, ვინაიდან სწორედ ამ წელს ეყრება საფუძველი შეფასებისა და გამოცდების, სასწავლო გეგმების და მასწავლეველთა პროფესიული განვითარების ცენტრებს. რაც ცხადია გულისხმობს სწავლებაში მოძველებული საბჭოთადროინდელი სწავლების მეთოდის მოსპობას და თანამედროვე სასწავლო მეთოდების დანერგვას. განათლების სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები 2005 წლიდან იწყება. რასაც მომდევნო თავებში განვიხილავთ დეტალურად. ახლა კი მინდა მოკლედ მიმოვიხილო ის ძირითადი საგანმანათლებლო რგოლი, რომლიც მოქმედებს საქართველოში.

საქართველოს განათლებსი სისტემა მოიცავს სამ ძირითად საფეხურს: **1) ზოგადი განათლება 2) პროფესიული განათლება და 3) უმაღლესი განათლება.** ქრონოლოგიურად, რომ მივყვეთ და დეტალურად ჩავშალოთ ეს საფეხურები მივიღებთ მსგავს სურათს:

1.ზოგადი განათლება გრძელდება 12 წელი და იყოფა 3 საფეხურად:

1) დაწყებითი განათლება: 1-6 კლასი, 2) საბაზო განათლება: 7-9 კლასი

3) საშუალო განათლება: 9-12 კლასი (ან სწავლა გრძელდება პროფესიულ სასწავლებლებში)

2.უმაღლესი განათლება ასევე 3 საფეხურს მოიცავს ესენია :

1) ბაკალავრი 2) მაგისტრატურა 3) დოქტორანტურა

3. პროფესიული სასწავლებლები. სადაც სტუდენტები ეუფლებიან მათთვის სასურველ პროფესიას.



ზოგადი განათლების მიცემის უპირატესობას სახელმწიფო ანიჭებს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც გავლილი აქვს ავტორიზაცია. **(ავტორიზაცია არის ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამამტკიცებელი დოკუმენტის გადასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სტანდარეტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.)** სახელმწიფო ასევე ადგენს პროგრამებს და იმ აუცილებელ მინიმუმს, რომელიც ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებეში უნდა ჩატარდეს. საქართველოში ასევე უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების აუცილებლობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ სახელმწიფო განსაზღვრავს ჩარჩობს, სწავლების წარმართვის პროცესსზე, მაგრამ ყოველდღიური სასწავლო პროცესის წარმართვა და სკოლის მოქმედების სტანდარტების განკარგვა დამოკიდებულია პედკოლექტივზე, დირექტორზე და მოსწავლის მშობლებზე განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

‘’უმაღლესი განათლების შესახებ’’ უმაღლესი გაანთლების სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელია შესაბამსი საფეხურების და ავტორიზაციის გავლა.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, საქართველოშუ ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა და პროფესიულ სასწავლებლებს ბევრი ახალგაზრდა მიმართავს. პროფესიული დაწესებულებების გახსნა ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია ვინაიდან ის საზოგადოების ყველა ფენისთვის და ასაკისთვის არის ხელმისაწვდომი რაც თავისმხრივ ეკონომიკური განვითარების საწინდარი და უმუშევრობის დაძლევის ერთ-ერთი ელემენტია. მომდევნო თავებში უფრო კონკრეტულად განვიხილავთ განათლების ზემოთხსენებულ ეტაპებს.

3.2 განათლება 2004 წლიდან-განათლების თანამედროვემიდგომები

2003 წელს საქართველოში მოხდა ვარდების რევულუცია. ქვეყანაში მოვიდა ახალი ძალა განახლებული იდეებითა და მიდგომებით. საქართველოს ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი განათლების სისტემის სისტემური რეფორმა, რომელიც 2004 წელს დაიწყო, ძველი, ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის ნარჩენების დემონტაჟსა და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას ისახავდა მიზნად. ახალი მთავრობის ამოცანა განათლების სფეროში იმაზე მეტი იყო, ვიდრე უნივერსიტეტებიდან და სასწავლებლებიდან მექრთამეობის აღმოფხვრა. სახელმწიფომ მრავალი ნაბიჯი გადადგა განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტურების და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. 2005 წელს შეიქმნა კანონი ''ზოგადი განათლების შესახებ'' რამაც უფრო ნაყოფიერი გახადა განათლების რეფორმირების საკითხი. შეიქმნა ინსტიტუციები, რომლებიც სკოლებს ამარაგებს კურიკულუმით, მასწავლებლებს ეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებაში, შეისწავლის მოსწავლეების მიღწევებს, შეისწავლის სკოლების ეფექტურობას, ეხმარება სკოლებს ადმინისტრაციული პრობლემების გადაწყვეტასა და ინფორმაციის დროულად მიღებასა და გაცემაში. ჩამოყალიბდა აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა განვითარების პროფესიული ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის

განვითარების სააგენტო, გამოცდების ეროვნული ცენტრი. შეიცვალა სისტემური მიდგომები, რაც გმოიხატებოდა სკოლის ბაზაზე მენეჯმენტის როლის ზრდით. ასევე დიდი როლი ითამაშა სკოლების თვითმართველობის და ბედსაჰჭოს ჩამოყალიბებამ რამაც უფრო მოქნილი და გამჭირვალე გახადა სასწავლო პროცესი.ახალი შინაარსისა და მიდგომების შესაბამისად, შემუშავდა მასწავლებლების მიმართ ახალი მოთხოვნები. შეიქმნა პროფესიული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების ცოდნას, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მიმართ მოთხოვნებს. შემუშავდა მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა. შემუშავდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა, შემუშავდა მასწავლებლების მიმართ ახალი მოთხოვნები. შეიქმნა პროფესიული სტანდარტები, რომლებიც მოიცავს პედაგოგიური მიდგომების ცოდნას, საგნობრივი შინაარსისა და საგნის სწავლების მიმართ მოთხოვნებს. შემუშავდა მასწავლებლების სერტიფიცირების სისტემა. შემუშავდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემა, რაც ასევე სატრენინგო პროგრამების ხარისხის მართვას გულისხმობს აკრედიტაციისა და შემდგომი მონიტორინგის გზით.

2006 წელს დამტკიცდა კანონი, რის საფუძველზე დამტკიცდა რომ 9 კლასამდე განათლების მიღება გახდა სავალდებულო. მოსწავლეს მხოლოდ 9 კლასის დასრულების შემდგომ მიეცემა სწავლის გაგრძელების უფლება პროფესიულ სასწავლებლებში.

მინდა დეტალურად განვიხილოთ საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე საფეხურები. **ზოგადი განათლება-** ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. სისტემის დემოკრატიზაციის და განათლების ხელმისაწვომობის გარდა, ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა.საქართველოში სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს. საქართველოს სახელმწიფომ მრავალი დადებითი ნაბიჯები გადადგა სისტემის გასაჯანსაღებლად, რამაც შესაძლოა განათლების

უკეთეს ხარისხამდე მიგვიყვანოს. განათლების სფეროში სახელმწიფოს ძირითადი მიზნებია: **1) ქვეყნის ინტერესების, ღირებულებების და ტრადიციების გააზრება 2) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა 3) დამოუკიდებლად ცხოვრება 4) გადაწყვეტილების მიღება 5) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან 5) იყოს კანონმორჩილი და პასუხისმგებლიანი მოქალაქე 6) ხარისხიანი განათლება, 7) დაიცვას მასწავლებლების პროფესიული ეთიკის კიდექსი 8) ხშირად ატაროს სკოლაში მონიტორინგი სწავლის პოცესის შესამოწმებლად 9) სკოალს ყავდეს კვალიფიცირებული პედაგოგები 10) სკოლა იყოს უსაფრთხო გარემო მოსწავლისთვის**. სკოლის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი, რომლის მიღების შემდეგ მოსწავლეს საშუალება ეძლება სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებლებში. განათლებსი მიღება მოსწავლეს შეუძლია, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სკოლბში, რომელებსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი ხარისხი. რაც შეეხება სასწავლო პროცესის წარმართვას ამას სკოლა ანხორციელებს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად. ერთ-ერთი ბოლო დროინდელი სიახლე რაც დაინერგა ეს იყო 2011 წელს საატესტატო გამოცდების შექმნა, გამოცდების ჩატარების ოპტიმალური გზა რა თქმა უნდა კომპიუტერებზე ადაპტირებული ტესტირებები შეირჩა, უპირატესობა მიენჭა ინტერნეტით განხორციელებულ ტესტირებას. პირველ წელს გამოცდაზე გასული მოსწავლეების 14,4 % (5 978მოსწავლე) დარჩა ზღვარს მიღმა დარჩა, 2012 წელს 11,7 %, 2013 წელს 20,9 %. 2014 წელს 14%, 2015 წელს 14,8 %, 2016 წელს 25,3 %, 2017 წელს 27%. 2018 წელს 24,5 %. ყველაზე ხშირად მოსწავლეები უცხო ენაში იჭრებოდნენ, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ უცხო ენების გამოცდა ან ძალიან რთული იყო ან არ არის ისეთი კარგი, როგორიც უნდა იყოს.

საატესტატო, რეფორმამ, როგორც ჩანს ვერ გამოიღო სასურველი შედეგი ამიტომ, 2019 წელს საატესტატო გამოცდები გაუქმდა. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილი ორად გაიყო ზოგი ფიქრობდა, რომ ეს განათლების კრახი იყო, ზოგი კი გახაებული იყო ამ ფაქტით. აქვე მინდა აღვნიშნო ის, რომ თავდაპირველად 2011 წელს საატესტაო გამოცდა მოსწავლეებს 8 საგანში

უხდებოდათ ერთდოულად, 2014 წლიდან კი ორ ეტაპად 4-4-ად აბარებდნენ გამოცდას. თუმცა აღნიშნულმა, საატესტატო რეფორმამ მაინც ვერ შინარჩუნა ბოლომდე თავისი როლი. გამოცდების გაუქმება ყველაზე მეტად ალბათ მაინც 12 კლასელებს- პოტენციურ აბიტირიენტებს გაუხარდათ ვინაიდან ეს მათ მეტ სანერვიულოს და ხარჯებს მატებდათ.

მიუხედავად ბევრი წინ გადაგმული ნაბიჯებისა სასკოლო განათლებაში მაინც არსებობს რიგი ხარვეზები რისი გამოსწორებაც არის შესაძლებელი. პირველი პრობლემა ვფიქრობ არის ის, რომ მშობლები არ არიან აქტიურად ჩართული შვილების სასწავლო პროცესსში. მეორე ხარვეზი არის, ის რომ საჯარო სკოლებს არ გააჩნია მოსწავლეთა გაცვლითი სისტემა სხვა ქვეყნის სკოლებში. ვფიქრობ ის მოსწავლე, რომელიც სწავლობს კარგად და მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, სკოლამ წამახალისებელი რესურსით უნდა უზრუნველყოს მოსწავლის გაცვლითი პროგრამით გამგზავრება მეზობელ სახელმწიფოს სკოლებში. ასევე სამწუხაროდ საჯარო სკოლებს, სხვა ევრპული სახელმწიფო სკოლებისგან განსხვავებით არ გამოირჩევა სპოტული აქტივობებით. მხოლოდ სპორტის გაკვეთილი არ კმარა მოსწავლის დასაინტერესებლად. სკოლას უნდა გააჩნდეს სპეციალურად დაკომპლექტებული სპორტული დარბაზი ან ღია მოედანი, სადაც მოსწავლეები შეძლეებენ საკუთარი უნდარეის გამოვლენას. საქართველო ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყანნების სიას, რომ მიეკუთვნება მგონი ამაზე ვთანმხდებით, ზოგიერთ მშობელს არ აქვს საშუალება მატერიალური ან ფიზიკური, რომ ბაშვები ატარონ სხვადასხვა სპორტულ წრეებზეს, სკოლას კი უნდა ქონდეს უნარი, რომ ხელი შეუწყოს ისეთ ბავშვებს, რომლებსაც კარიერის გაგრძელება სპორტული მიმართულებით უნდა. შეძლება მოსწავლევს აქვს უნარი და არ იცის ამ უნარის გამოვლენაში კი სკოლა უნდა დაეხმაროს. სკოლაში დღესდღობით მოქმედებს პროქტი ''ოქროს მედალი'' და ლეპტოპების გადაცემა რაც ვფიქრობ საკმაოდ კარგი და წამახალისებელი იდეაა იმისთვის, რომ მოსწავლე თავიდანვე იყოს მოტივირებული სწავლაზე. სკოლა ხომ პირველი დაწესებულებაა სადაც ვყალიბდებით და ვიწყებთ

აზროვნებას რაციონალურად. გარდა სპორტული დაწასებულებებისა, სკოლაში უნდა იყოს მუსიკალური ოთახები შესაბამისი აღჭურვილობით. ყოველგვარ შეჯიბრში მოსწავლეებთან ერთა მშობლებიც უნდა იყვნენ ჩართულნი. ასევე კარგი იქნება ის, თუ საჯარო სკოლები, სკოლაში მოიწვევენ უცხოელ მასწავლებლებს, უცხო ენის უკეთ ასათვისებლად. ვფიქრობ, რომ სკოლებმა მოსწავლე უკვე შემზადებული და განვითარებულები უნდა გამოუშვან ცხოვრების ისეთ მნიშნელოვან ეტაპაზე გადასასვლელად რასაც სტუდენტობა ქვია. ან მეორე მხრივ, რომ ვიმსჯელოთ შეიძლება ყველა ვერ ახერხებს, რომ გახდეს სტუდენტი ამიტომ სკოლამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ გამოუშვას კარგად აღზრდილი და განათლებული პიროვნება.

უმაღლესი განათლება- 2005 წელს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით მისღები გამოცდების ძველი სისტემა ახლით შეიცვალა, მისაღები გამოცბის დანერგევის ეს ფორმა დღემდე ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია. 2005 წელს ყველა აბიტურიენტი აბარებდა **3** სავალდებულო საგანს: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენები(არჩევით), და ზოგადი უნარები) 2006 წელს ეროვნულ გამოცდებს დაემატა 3 გამოცდა- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საქართველოს ისტორია, საზოგადოებრივი მეცნიერებები. ჩაბარებული გამოცდების მიხედვით გაიცემოდა სახელმწიფო დაფინასებებიც. 2007 წელს აბიტურიენტთა განაცხადი განთავსდა ინტერნეტში და აბიტუერიენტებს შეეძლოთ ონლიან გადაემოწმებინათ თავიანთი განაცხადი. 2008 წელს ზოგადი უნარების ტესტი ითარგმნა აზერბაიჯანულად და სომხურად და დაინერგა ონლიან ნამუშევრების გასწორების სისტემა. 2009 წელს გაიზარდა მისაღები გამოცდების მინიმალური კომპენტენციის ზღვარი 2010 წლიდან სახელმწიფო დაფინანსება გაიცემა 4 საგნის ჩაბარების საფუძველზე. 2001 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ რეგისტრაცია გაევლოთ ონლიან, 2012 წლიდან კი, დარეგისტრირება მხოლოდ ინტერნეტით, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge) არის შესაძლებელი. 2012 წელიდან, ასევე, აბიტურიენტებს შვიდის ნაცვლად ოცი

სასურველი ფაკულტეტის არჩევის საშუალება აქვთ. 2013 წელს აბიტურიენტებს საშუალება ჰქონდათ განაცხადში ყველა ის საგანმანათლებლო პროგრამა მიეთითებინათ, რომლებზეც მათ მიერ არჩეული გამოცდები ბარდებოდა. 2014 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საგამოცდო ზღვარის გადალახვის ახალი მიდგომის პროექტი შემუშავდა. ასევე, უცხოური ენის გამოცდას დაემატა მოსმენის ნაწილი. 2015 წელს არჩევითი საგნების ჩამონათვალს კიდევ ერთი საგანი - სამოქალაქო განათლება დაემატა. 2016 წელიდან გამოცდა ნაწილობრივ ელოქტრონული ფორმით ტარდება. 2020 წელს გაუქმდა ზოგადი უნდარების გამოცდა და აბიტურიენტებს 3 საგანში მოუხდათ გამოცდის ჩაბარება და შესაბამისი ქულებით გადაწყდა სახელმწიფო დაფინანსების გაცემა. ზოგადი უნარების გაუქმებას დიდი ხმაური მოჰყვა, საზოგადოების აზრი ორად გაიყო ნაწილი დადებითად თვლიდა გადაწყვეტილებას, ნაწილმა კი უკმაყოფილება გამოხატა. დადებითად შეხვდა ის აბიტუერიენტები, რომელთაც ერთულებოდათ ზოგადი უნარების ჩაბარება რადგან ამ ნაწილში, უცხო ენის გამოცდის შემდეგ, პროცენტულად ყველაზე მეტი სტუდენტი იჭრებოდა. საზოგადოების ნაწილი კი თვლიდა, რომ ზოგადი უნარების ამოღება საგამოცდო პროგრამიდან უფრო გაადვილებდა უნივერსიტეტში მოხვედრის პირობას. აღნიშნული საგნის გაუქმებით კმაყოფილი იყვნენ ასევე მშობლებიც, ვინაიდან ზოგადი უნარები წარმოადგენდა სპეციპიკურ საგანს და სკოლებში არ ისწავლებოდა მშობლებს უხდებოდათ, შვილების მომზადება კერძო რეპიტეტორებთან რაც საკმაოდ ძვირი ღირდა, ამ საგნის გაუქმება კი მათთვის გარკვეული ფინანსურ შეღავათს წარმოადგენდა. ასევე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ეროვნულ გამოცდოზე თუ რომელიმე საგანში ჩაიჭრა აბიტურიენტი ცხადია გრანტს ვერ მოიპოვებს.

მაგალითად 2012 წელს ერთ საგანში ჩაიჭრა აბიტურიენტების 23%, ეს რიცხვი 2013 წელს - 31% მდე გაიზარდა. ჩაჭრილ აბიტურიენტთა გაზრდილი მაჩვენებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს სკოლის გამოსაშვებ გამოცდებს, (შესაძლოა

სკოლის გამოცდებმა ჩაჭრა). 2014 წელს ჩაჭრილ აბიტურიენტა მაჩვენებლი 24 % შეადგენდა. 2015 2016 წლებსშ კი 27% და 28% გაიზარდა.

გამვიხილოთ 2012-2017 წელებში ერთიან ეროვნულ გამოცდაზე გასული და ზღვარს მიღმა დარჩენილი აბირურიენტების მაჩვენებელი.

	2012	2013	2014	2015	2016	2017
გამოცდაზე გასული აბიტურიენტთა რაოდენობა	34 436	40 670	33 998	337437	37 338	36 875
ერთ საგანში მაინც ჩაჭრილი აბიტურიენტი	8 970	12 699	8 215	10 117	10 513	746
საგამოცდო ზღვარს მიღმა დარჩენილი აბიტურიენტებისპროცენტული წილი	26%	31%	24%	27%	28%	26%

მოკლედ მიმოვიხილე უმაღლეს სასწავლებლებში გატარებული რეფორმები. ახლა კი გავეცნოთ უმაღლეს სასწავლბლებში სწავლის სფეციფიკას, ფაკულტეტებს, უფსო ფაკულტეტბს, საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის საფეხურებს.

თავდაპირველად აღვნიშნავ იმას, რომ საქართველოს უნივერსიტეტბში განათლების სამსაფხურიანი სისტემა მოქმედებს: **ბაკალავრის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის.** უმაღლესი განათლებსი პირველ საფეხურზე- **ბაკალავრიატზე** სწავლის უფლება აქვთ იმ პირებს ვისაც მიღებული აქვს ზოგადი განთლება, აქვს შესაბამისი ცდნის დამამტკიცებელი სერთიფიკატი და ჩაბარებული აქვთ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ეროვნული გამოცდები. უნივერსიტეტში ასევე დამოუკიდებლი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედებს

მასწავლებლის მომზადების საგანამათლებლო პროგრამა, რომელიც ისწავლება 1 წლის განმავლობაში და მოიცავს 60 კრედიტს, აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შუძლიათ ბაკალავრის, მაგისტრატურის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხის საფუძველზე.

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურია **მაგისტრატურა**, რომლის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ პიროვნებას დამთარებული უნდა ქონდეს პირველი საფეხური -ბაკალავრიატი და ქონდეს აღნიშნული განათლების შესაბამისი დიპლომი. მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა უფრო აღრმავებს და ანვითარებს ადამიანის შესაძლებლობეს რაც გარკვეულწილად ეხმარება კარიერულ წინსვლაშიც. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია **დოქტორანტურა,** სადაც სწავლის გაგრძელების უფლება აქვს იმ პირებს, რომლებსაც გავლილი აქვს განათლებსი მეორე საფეხური და აქვთ მაგისტრის ხარისხი.

უმაღლესი განათლების დაწესებულებაში შეიძლება იყოს, როგორც საჯარო, ისე კერძო სამრთლის იურიდიული პირი. საყოვლთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ უნივერსიტში სწავლება არის ფასიანი. 2013 წელს საქართველოს მეცნიერებისა და განთლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება სრულიად დაეფინანსებინა რამოდენიმე ფაკულტეტი ანუ უფრო გამარტივებულად, რომ ვთქვათ უფასო გახდა სწავლა გარკვეულ ფაკულტეტეზე, რაც ერთ-ერთი წინ გადაგმული და წარმატებულ ნაბიჯს წარმოადგენს. პირველ რიგში იმიტომ, რომ უმაღლეს სასწვლებში სწავლის შესაძლებლობა მიეცათ ისეთ ოჯახებს, რომლებსაც სწავლის საფასურის გადახდის საშუალება არ აქვთ. მეორე მხრივ იმიტომ, რომ უფასო გახდა ისეთი ფაკულტებები, რომლებიც აქამდე ნაკლებად პრესტიჟული იყო, უფასოდ გამოცხადების შემდეგ კი ნაკლებად მოთხოვნადი ფაკულტეტბი პრესტიჟული გახდა და სტუდენთა მოთხვნაც გაიზარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნულმაპროექტმა უფასო ფაკულტეტების შემოღებამ გაამართლა. აღნიშნულ პროექტს მოჰყვა, როგოც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. უარყოფითი ის, რომ ის ფაკულტეტები, როლებიც გახდა უფასო და 2013 წლამდე იყო ფასინი, აღნიშული ფაკულტეტების

სტუენტთა გარკვეული, რაოდენობა რომელიც ამ ფაკულტეტებზე სწავლობდა და იხდიდა გადასახადს პროტსესტი გამოხატა, რაც თავის მხრივ ბუნებრივი მოვლენა იყო.დადებითი კი, როგორც აღვნიშნეთ იმითაა კარგი უფასო ფაკულტეტბები, რომ უფრო მეტ აბიტურიენტს მიეცემა შანსი მოიპოვოს სტუდენტის სტატუსი. გთავაზობთ საქართვლოს სახელმწიფო უნივერსიტეტბში არსებულ უფასო ფაკულტეტების ჩამონათვალს:

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ქართული ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ეკონომიკა, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: მშენებლობა, ენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია, არქიტექტურა, მათემატიკა, საინჟინრო ფიზიკა, აგრარული ტექნოლოგიები, სასურსათო ტქენოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია, მეცხოველეობა, აგრონომია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ქიმია, მექსნიკის ინჟინერია და ტქენოლოგია, სამთო და გეო ინჟინერია,საინჟინრო გეოდეზია, გეოლოგია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, სამთო და გეოინჟნერია, საინჟინრო გეოდოზია, გეოლოგია, საინჟინრო უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა, გეოინფორმატიკა, მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ- ინჟინერინგი, ბიოსამედიცინო ინჟინერია, მეტალურგია, მასალათმცოდნეობა, მევენახეობა და ენოლოგია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - ქართული ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლება, მათემატიკა, ფიზიკა, არქიტექტურა, ბიოლოგია.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი- ქართული ენა და ლიტერაურა, ისტორია, არქეოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, ბილოგია, ეკონომიკა, დაწყებითი განათლება, ელექტრული ინჟინერია, მშენებლობა, აგრონომია,

ტექნოლოგია და ექსპერტიზა, აგროინჟინერია, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, აღმოსავლური ფილოლოგია, ქიმია, ეკოლოგია, გეოგრაფია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები, ორგანიზაცია და მართვა, ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა, ხარისხის მართვა და ტექნიკურ ეკონომიკური ექსპერტიზა, გამოყენებითი დიზაინი, გარემოს დაცვის ინჟინერია.

ბაუმის შოთა რუსთაველის სახლმწიფო უნივერსიტეტი- ეკონომიკა, დაწყებითი განათლება, მშენებლობა, აგრარული ტექნოლოგიები, ქართული ფილოლოგია, ისტორია, ბილოგია, ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა.

ზემოთ აღნიშნულ საკითხში ჩამოთვლილია ნაწილი სახლმწიფო უნივერსიტეტებისა და უფასო ფაკულტეტების, თითქმის მსგავსი უფასო ფაკულტეტები აქვს სხვა სახელმწიფო უნივრსიტეტბსაც. უნოვერსიტეტის უფასო ფაკულტეტბის არჩევა აბიტურიენტს შეუძლია, ეროვნული გამოცდების დაწყებამდე შესაბამისი პროცედურების გავლისას.

3.3 პროფესიული სასწვლებელი

პროფესიული განათლება არის სახალხო განათლება, რომელიც ადამიანს ვაჭრობის, ხელოსნობის, თუ სხვადასხვა სფეროში (ინჟნერია, მედიცინა, არქიტექტურა, იურისპოდენცია და სხვა) ამზადებს. არაერთი პროფესია, რომლიც დღეს პროფესიულ სასწავლებლებში ისწბლება სათავეს შორეული წარსულიდან იღებს რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროფისული საქმიანობას საქართველოში ადადმაინებს დიდი ხნის წინ ასწავლიდნენ. ძველად საქართველოში და არა მარტო, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელოსნობას ამიტომ მშობლები ყმაწვილებს ოსტატს მიაბარებდნენ, რომელიმე ხელოსნობის დასაუფლებლად. ძველ საქართველოში ოსტატთა გაერთიანებებიც არსებობდა და მათ ‘‘ამქარი’’ ეწოდებოდათ. ძველი საქართველოს, განსაკუთრებით კი ძველი თბილისის ქუჩები და უბნები სხვადასხვა

სახის ხელოსნებს ეჭირათ, ერთი ქუჩა მხოლოდ ფხსაცმლის შემკეთებლებს, მეორე მექუდეებს, მესამე ზეინკლებს, მეოთხე ოქრომჭედლებს და ასე შემდეგ. თითოელ ხელოსანს თავისი წესდება ჰქონდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ერთმანეთს საქმეშ არ ეცილებოდნენ და ექიშპებოდნენ. ყველა ამქარს ჰყავდა შეგირდი ანუ დამხმარე, რომელსაც ასწავლიდა ხელობას და მისი არყოფნის შემთხვევაში შეგირდი ასრულებდა საქმეს. ,,საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ჩვენს შვილებს ასწავლიან, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდი ნაყოფის მიღება. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე კარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი… მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან…" / ილია ჭავჭავაძე.

პროფესიული განათლების სფერო რეგურილდება საქართველოს პარალამენტის მიერ 2007 წელს გამოცემული კანონით ''პროფესიული განათლების შესახებ და მისი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს ქვეყანაში სამუშაო ბირთვის მომზადება. პროფესიული განათლებისთვის მზადება უფრო ადრე 2004 წლიდან დაიწო და დღემდე გრძელდება. პროფესიული განათლების ძირითადი მიზნებია; არსებული შრომითი ბაზრის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება, მაქსიმალური დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და მისი გამოცდილების დახმარებით შესაბამისი სტრუქტურის მომზადება.

პროფესიული განათლების მიზანი:

- შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანთლებლო სივრცე სადაც სწავლის შესაძლებლობა ექნებათ ნებისმიერი ასაკის წარმომადგენლებს.
- ხელი შეუწყოს ინდივიდის განვითარებას.

- მოამზადოს კონკურენტუნარანი კადრი.
- შექმნას მრავალფეროვანი და თანამედროვო სტანდრტებზე მორგებული გარემო.

კანონის მიხედვით, პროფესიული განათლება ორ ძირითად - **ფორმალურ და არაფორმალურ** პროფესიულ განათლებად დაიყო. **ფორმალური პროფესიული** განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანმანათლებლო დაწესებულებებში. პროფესიული განათლება ხუთი საფეხურისგან შედგება პირველი, მეორე და მესამე საფეხური დაწყებით საფეხურებად ითვლება, რომელიც 9 კლასის მქონე პირთათვის არის განკუთვნილი აღნიშნული საფეხურების გავლის შემდეგ დარჩენილი 2 საფეხურის გავლის შემდეგ პირს უფლება ენიჭება აირჩიოს რომელიმე პროფესია და გააგრძელოს სწავლა.

არაფოემალური განათლების მიზანს კი წარმოადგენს გარკვეული პროფესიის ათვისება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოში მოქმედი პროფესიულ-საგანმანთლებლო დაწესებულებები ორ კატეგორიად იყოფა.

- **პროფესიული კოლეჯი:** პროფესიული საგანმათლებლო დაწესებულება, რომელიც მხოლდო სამი საფეხურის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს.
- **საზოგადოებრივი კოლეჯი:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად მოსამზადებელ ზოგადსაგანმანთლებლო ან/და ლიბერალური განათლების პროგრამას ახორცილებს.

საქართველოში ფინქციონირებს 67 საზოგადოებრივ-პროფესიული კოლეჯი. ამათგან სახელმწიფო აკრედიტაცია მინიჭებული აქვს 17 კოლეჯს, სახელმწიფო

ნაწილობროვ მონაწილეობით დაფუძვნებული არის 6 , ხოლო აკრედიტაცია მინიჭებული კერძო კოლეჟია 44.

რაც შეეხება ზოგადსაგანამათლებლო დაწესებულებებს შვიდ კერძო და ერთ დაწესებულებაში ისწავლება პროფესიული განათლება. ხოლო უმაღლესი სასწავლების პროფესიულ გაანთლებას რაც შეეხება 16 კერძო და 15 სახელმწიფო უმაღეს სასწავლებლეში. ჯამში კი 106 სასწავლებელშია შესაძლებელი პროფესიული გაანთლების მიღება მათგან 39 სახელმწიფოა, 67 კი კერძო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ენიჭება გადამწყვეტი ფუნქცია პროფესიული განათლების მართვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესსში.

სტრატეგიის შემუსავებისას გასათვალისწინებელია ის გამოწვევები, რომელიც პროფესიულ განათლებას ახლავს თან. ზევით მიმოვიხილე პროფესიული სასწავლებლების მიზნები და რაოდნეობდა ახლა კი მინდა დავკონკრეტდე პროფესიული სასწავლებლების დადაებითი და უარყოფით მხარეებზე. პროფესიული განათლების მთავარი ამოცანა დასაქმების ბაზრისთვის ადეკვატური და კომპეტენტური კადრების მომზადებაა. ამავდროულად, იგივეა მისი მთავარი გამოწვევაც, რადგანაც დასაქმების ბაზრის მოთხოვნები სულ უფრო და უფრო სწრაფად იცვლება თითქმის ყველა მიმართულებით ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. ამ პროცესსში კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც.

2013 წელს ქართულ მხარესა და ევროკავშირის წარმომადგნლებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას (საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„ რისი მეშვეობითაც დაიწყო ახალი პროექტის განხორცილება).

აღნიშნული სტრატეგიის მიზანი გულისხმობდა: ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბება, კონკურენტუნარიანი კადრების

მომზადება, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორცილებისთვის კი უნდა მოგვარდეს ის რიგი სირთულები რაც პროფესიულ განათლებასთან არის დაკვშირებული. პროფესიული გაანთლების დადებით მხარედ ითვლება ის ფაქტი, რომ სწავლის გასაგრძელბლად არ არის სრული ზოგადი განათელების დასრულება საჭირო, 9 კლასის ატესტატიც შეგიძლია დაეუფლო პროფესიას გაიარო საფეხურები და შემდგომ სურვილის შემთხვეაში გაარგძელო სწავლა, გადამზადდე და აიმაღლო კვალიპიკაცია. ასევე დადებით მხარედ ითვლება ის, რომ ასაკი არ არის შეზღუდული და ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია დაეუფლოს მისთვის სასურველ სპეცილობას, არსებობის შემთხვევაში. პროფესიული სასწვლებლების უმეტესობა ორიენტირებულია პრაქტიკულ სწავლებაზე რაც გარკვეულწილად ეხმარება სტუდნეტს ბაზარზე გასვლაში. ბოლო წლებში შემუშავდა ინკლუზიური პროფესიული განათლების კონცეფცია, მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული სასწავლო საჭიროებების მქონე პირთა პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვის მექანიზმი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათი პროფესიული სწავლება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. თანდათან ინერგება შედეგზე ორიენტირებული, ინდივიდზე მორგებული სასწავლო გარემო.

ახლა რაც შეეხება პროფესიული განათლების უარყოფით მახასიათებლებს. პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს. ამ ვითარებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმი, რაც დაეხმარებოდა მართვის ორგანოებს პროფესიული განათლების პოლიტიკის სწორად დაგეგმვაში, შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნებისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით. პროფესიული სასწავლებლის სტუდნეტებს ნაკლები შანსი აქვთ გავიდენ შრომით

ბაზარზე და დასაქამდნენ ამას კი ის მეტყველებს, რომ უმაღლესი სასწავლებელი ვინც დაამთავრა უფრო კონკურენტუნარია, რაც გარკვეულ წილად უსამრთლოა. დამსაქმებელიც რატომრაც უმაღლეს განათლებაზე უფრო აკეთებს კონცეტრაციას ვიდრე პროფესულ კოლეჯის კადრზე. ზოგიერთ დამსაქმებელს ავიწყდებათ ის, რომ გარკვეულ სიტუაციაში პროფესიულ კოლეჯს უფრო შეიძლება მომზადებული კადრი ჰყავდეს, რადგან პროფესიულ სასწვლებლებში მეტია პრაქტიკული სწავლების შანსი ვიდრე უმაღლეს სასწავლებებში.

ვინაიდან უმაღლესი სასწავლებლები უფრო პრესტიჟული და მოთხვნადია სტუდნეტების უმრავლესობას სწორედ უმაღლეისკენ უჭირავთ თვალი რადგანაც თვლიან, რომ უფრო იქნებიან კონკურენტუნარიანები. პროფესიული განათლების მეორე სუსტ მხარ შეიძლება დავსახელოთ გეოგრაფიული მდგომარეობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არათანაბარი გეოგრაფიული არეალი და სასწავლო ადგილების არაპროპორციული განაწილება განაპირობებს დაბალ ჩართულობას და ნაკლებ ხელმისაწვდომობას ფორმალური განათლების ამ საფეხურზე. პროფესიული განათლების დაწესებულებები ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი და სხვა რეგიონებში (გარდა აჭარისა) ასეთი დაწესებულებების რაოდენობა ცოტაა. შესაბამისად, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზრდასრული მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების მიღება დამატებით ხარჯებს მოითხოვს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს მთავრობამ დააანონსა რამდენიმე პროფესიული კოლეჯის გახსნა, მათ შორის წყალტუბოს, კასპისა და ხაშურის რეგიონებში თუმცა ვფიქრობ მაინც არაა საკმარისი. განათლების სამინისტრომ უფრო აქტიური რესურსები უნდა შემუშაოს, რო, რაც შეძლება მეტ ადამიანს მიეცეს პროფესიული გაანთლების მიღება ასაკისდა მიუხედავად.

იმისათვის, რომ პროფესიული განათლება იყოს სრულყოფილი საჭიროა პროფესიული განათლება განიხილებოდეს, როგორც განათლების სისტემის ერთიან

ნაწილად და არა როგორც განცლაკევებული სფერო. გატარებულმა რეფორმებმა უნდა განაპირობოს პროფესიული განათლების პოპულარობა და გახდეს მოთხოვნადი. უნდა გავითვალისწინოთ მეზობელი განვითარებული ქვეყნების საგანმათლებლო სისტემის მაგლითები, დაინერგოს სიახლეები, რომლებიც მორგებული იქნება თანამედროვეობას, განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ეთნიკური წარმომდგენლებისთვის, რომლებიც ცხოვრობს საქართველოში და შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი ბაზარზე, რომ სასწავლებლიდან გამოსული სტუდენტი დასაქმდეს.

3.4 ეთნიკური უმცირესობების გაანთლება საქართველოში

სიტყვა ეთნიკური ბერძნული სიტყვა ''ეთნოსიდან'' წარმოიშვა, რაც ნიშნავს მონათესავე ხალხთა ერთობლიობას, რომელსაც აქვთ ერთი სისხლი, ხშირად ერთი ეთნოსისგან შედგება, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი ეთნოსი რამდენიმე ერში არის განაწილებული. ეთნიკური წარმომვლობა აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც (განსხვავდებიან რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით) იმ ეთნიკური სახლემწიფო ჯგუფებისგან სადაც ის ცხოვრობს. რასობროვად და ეთნიკურად მრავალფეროვანინა ქვეყანა , სადაც სხვადასხვა რასისა და ეტნიკური კუთვნილების მოსახლეობა ცხოვრობს, რომელთაგანაც ერთი რასა ან ეთნოსი შეიძლება წარმოადგენდეს უმრავლესობას, თუმცა საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს სხვა ეთნიკური კუთვნილების მოსახლეობას როგორც თანასწორს. ეთნიკურ უმცირესობების საკითხი ყოველთვის გასნჯის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ეთნიკურობა დიდი მნიშვნელობას იკავებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. ეთნიკური უმციროსობის საკითხი საქარველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა აქტუალური, ქართული ენის სახელმიწფოდ გამოხდახდებამ და რუსული ენის გაქრობამ ეთნიკური ჯგუფების

მეორეხარისხოვან მოქალექეებად გადაქცევას შეუწყო ხელი, რადგან გაჩდა ენობრივი ბარიერის სირთულეები, რომელიც ყველა დარგში გამოიხატებოდ განსაკუთრებით კი განათლების სისტემაში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობისათვის განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს განსაზღვრავს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. საქართველოს 2014 წლის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის 86,2 % შეადგენდა ქართველები, 13,2 % კი ეთნიკური ჯგუფის წარმომავლები მათთვის კი ქართული ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს მათი ნაწილი სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში არის დასახლებული.

გაანთლების ხელმისაწვდომობაზე საუბრისას გასათლისწინებელია გაანთლების სისტემის ყველა ასპექტი სკოლანდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლება. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებიდან გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი ესენია: სომხები და აზერბაოჯანელები. 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოხდების ცენტრის მონაცემებით საქართველოში ზოგადი განათლების მიღება ქართულენოვანი სკოლების გარდა შესაძლებელია სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებსა და სექტორებში.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ხვადასხვა რეფომების გატარება დაიწყო სწავლის პირობებსი გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი იყო ''ირმის ნახტომი'', რომლის მიზანი იყო საჯარო სკოლემში თანამედროვე საინმფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლა და გამოყენბა იყო. კომფიუტერული ტქენიკით უზრუნველყოფილი იყო საქართველოში მოქმედი ყველა საჯრო ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლები. ამიტომ გაანთლების სამინისტრომ დაიწყო მასწავლებელბის გადამზადება, რომ ესწავლებინათ კომპიუტერული ტექნიკა და შემდგომ მასწავლებელს სკოლის მოსწავლეებისთვის. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების ამაღლების მიზნით გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები, რომეცლი უფასოდ ურიგდბებოდათ სკოლის

მოსაწავლეებს, გარდა ამისა პროგრამა ‘’მომავალი იწყება დღეს’’ ფარგლებში, რომელიც გულისხმობდა ‘’ვასწავლოთ ქართული,როგორც მეორე ენა’’, განათლებისა და მეცნიერების სამინსტრომ დაიწყო პედაგოგების გაგზავნა რეგიონებში, რომ არაქართულენოვან სკოლებში დაენერგათ სწავლის ახალი მეთოდები და მიდგომები. მიწვეიული პედაგოგები ბავშვებს ასწავლიდნენ ქართულსა და ისტორიას ასევე მასწავლებლებს უტარებდნენ ტრენინგებს და აცნობდნენ სწავლაში დანერგილ სიახლეებს. 2004 წელს განათლებისა და მეცნირების სამინისტროს მირ შემუშვებული რეფორმა მიზნად ისახავდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების თანაბარი უფლების შექმნას. აბიტურიენტებს უნდა ჩაებარებინათ სამი ძირითადი საგანი: ქართული ენა, უნარ-ჩვევები და უცხო ენა. ეთნიკური უმცირესობის წარმომდგენლებიდან სტუდენტის სტატუსი მოიპოვა ოცმა რაც დაბალი მაჩვენებელი იყო. ამიტომ განათლებსი სამინისტრომ შეიმუშავა ‘’საშეღავათო პოლიტიკა’’ ეთნიკური წარმომდგნლების მიმართ მათ უფლება მიეცეათ სავალდებულო საგნები ჩაებარებინათ რუსულ ენაზე. რამაც გაამართლა და არაეთნიკური ჯგუფის წარმომდგნლების სტუდენტური მაჩვენებელი მკვეთრად გაორმაგდა. საშეღავათო პოლიტიკის ფარგლბში გარდა სტუნდენტის სტატუსის მოპოვებისა ერთ-ერთი მნიშნვნელოვანი ასპეკტი იყო დაფინანსების საკითხიც რამაც გაზარდა არაეთნიკური ჯგუფების სურვილი, რომ სწავლა გაეგძელებინათ უმაღლეს სასწავლებლებში.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც არაეთნიკური წარმომდგენლების განათლებას ეხება, ბევრი მნიშვნელოვანი პროგრამებია გასატარებელი რადგან სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ეთნიკური ჯგუფების განათლებაზე შექმანას ბვრი რესურსი და ბაზა იმისითვის, რომ ქართული ენის შესწავლა არ წარმოადგენდეს პრობლემას. საჭიროა დამატებითი ენის ცენტრების გახსნა, დამხმარე სახელმძღვანელობის შედგენა, ონლიან პროგრამების შექმნა, რომ ქართული ენის შესწავლა არ წარმოადგენდეს დაბრკოლებას.

3.5 მსჯავდებულთა/ბრალდებულთა განათლება

ევროპული ციხის წესების მიხედვით, მნიშვნელოვანია ისეთი პენიტენციური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრის რეაბილატიაცას და იძლევა დასაქმების საშუალებას სამომავლოდ საზოგადოებაში სრული რეინტერგრაციის მიზნით. შესაბამისად, ეს მიზანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მისი მიღწევის გარეშე ვერ ვისაუბრებთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასჯელაღსრულების სისტემაზე. ეს მიზნები, რომ განვახორხიელოთ საჭიროა- პატიმრების დასაქმება, განათლება, საერებილიტაციო პროგრამებში ჩართვა, თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თანამშრომლობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების მიზნით. საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის ''ზოგადი განათლების შესახებ'', სახელმწიფო ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს განათლება საქართველოს ყოველი მოქალაქისთვის და რათქმაუნდა პატიმრებისთვისაც. განსაკუთრებით კი მოსწავლე პატამრიებსითვის იყოს ხელმისაწვდომი ზოგადი განათლება , რაც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისათვის. შესაბამისად მსჯავრდებულ ბავშვებს საშუალება ეძლევათ, სწავლის დამადასტურებელი ატესტატი აიღონ, სადაც არ აღინიშნული, რომ ეს ატესტატი სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გაცემული. სკოლის დასრულების და ატესტატის აღების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ არასრლწლოვან პირებს უფელაბ აქვთ მოემზადონ ეროვნული გამოცდებისთვსაც.

განათლების სამინისტროს მონაცემებით, სასჯელაღსრულების №11 დაწესებულება მიერთებულია 123 საჯარო სკოლასთან და ამავე სკოლის მასწავლებლები ასწავლიან პატიმრებსაც, სკოლის შენობაში არის ბიბლიოთეკა და სოციალური მუშაკების სამუშაო ოთახები. სწავლება მიმდინარეობს 12 კლასის

ჩათვლით. გაკვეთილების მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 30 წუთი და მაქსიმუმ 5 გაკვეთილი უტარდებათ დღეში, 5-წუთიანი შესვენებით. პატიმრები ასევე სარგებლობენ ბიბლიოთეკითაც თუმცა წიგნების რაოდენობა სამწუხაროდ მცირეა, განსაკუთრებით მცირეა არაეთნიკური წარმომდაგნელბეისთვის უცხო ენვანი წიგნები. გარდა №11 სასჯელაღსრულების დაწესებულებისა სწავლა ხორცილდება ქალთა №5 სასჯელაღსრულებო დაწესებულებაში.

საგაკვეთილო პროცესის მონტორინგის მიზნით ხორციელდება განათლების ხარისხის შემოწმება N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, ქ. თბილისის N8 და ქ. ქუთაისის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.

რაც შეეხება სრულწლოვან პატიმართა მდგომარეობას, როგორც მამაკაცთა ასევე ქალთა დაწესებულებაში ისინი უმეეტს წილად ხელსაქმით არიან დაკავებულნი. მამაკაცები ძირითადად ხეზე მუშაობას სწავლოვენ ქალები კი ქსოვას, თექაზე მუშაობოს და კერვას.

პატიმართა გაანთლების საკითხში ძალიან ბევრი საკითხია მოსაგვარებელი, მათ უფლება აქვთ მიიღონ განათლება და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები. სახელმწიფო მაქიმალურად უნდა დაუდგეს გვერდით, განსაკუთრებით კი არასრულწლოვან პატიმრებს და დაეხმარნონ მათ სამომავლოდ საზოგადოებში თავის დამკვიდრებაში. ციხეს უნდა ჰქონდეს ყველა ის პირობა რაც აქვს სკოლებს და პოფესიულ სასწავლებლებს და აუცილებელია ციხეში იყო ბიბლიოთეკა თვითგანვითარებისთვის.

3.6 ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება – გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და/ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას. ყველა ბავშვს აქვს მიიღოს განათლება სახელმწიფო კი ვალდებულია უზრუნველყოს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა მიუხედავად ბავშვის საჭიროებებისა, რასისა, რელგიისა თუ ეთნიკური წარომავლობისა.

გასულ საუკუნეებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები (შემდგომში სსსმ ბავშვები (სსსმ ბავშვები) თითქოს იზოლირებულნი იყვნენ საზოგადოებისგან და არ ჰქონდათ პირობები მიეღოთ საშუალო განათლება თანატოლებთან ერთად სახელმწიფო კი სამწუხაროდ ნაკლებად იყო ჩართული აღნიშნული საკითხით. 1994 წლიდან არასამთავრებო ორგაიზაციების დახმარებით დაიწყო სპეციალური სპეცილაობებსი მქონე ბავშვების უფლებებებისთვის ბრძოლა, რომ ჩართულყვნენ სასწავლო პროცესსში და მიეღოთ საშუალო განათლება. 2004 წლიდან როდესაც დაიწყო განათლების ძირეული რეფორმირება სახელმწიფოს არ გამოსჩენია სსსმ ბავშვების მდგომარეობა, რომ მათ მიეღოთ განათლება და ყოფილიყვნენ სრულფასოვანი საზოგადოების ნაწილი. ინკლუზიური სწავლების დანერგვას საქართველოში მნიშვნელოვანი ფინანსური და მეთოდოლოგიური დახმარება ნორვეგიის მთავრობამ გაუწია. განათლებისა და მაცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ განხორცილდა პროექტი: ''ინკლუზიური სწავლების დანერგვა'' რომელმაც ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად იზოლირებული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებას. კერძოდ თბილისის 10 სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორცილებს ინკლუზიური სწავლების

პროგრამას. საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის ''WHO-ს'' მაგალითზე დგინდება, რომ გამოიყოფა უნარშეზღუდულობის სამი ხარისხი:

- დაზიანება/დარღვევა- ორგნიზმის სხვადასხვა სისტემების ორანული დარღვევა ან ინდივიდსი ფსიქიკური აშლილობა;
- უნარშეზღუდულობა- დაზიანება/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროშ;
- ინვალიდობა-ინდივიდის უუნარობა, და ასაკის შესაფერისი როლის შეუსრულებლობა.

იმ ადამიანთა კატეგორიასი კი, რომლებიც განსაკუთრებული სწავლების პირობებს საჭიროვებენ გამოყოფენ ძირითადად 5 კატეგორას:

- ფსიქიკური აშლოლობა;
- სიბრმავე;
- სიყრუე;
- ფიზიკური შეზღუდვები;
- გონებრივი ჩამორჩენილობა;

როგორც ზემოთ ხსენბული მონაცმებეიდან ჩანს უნარშეზღუდულობის დეფინიცვიაში ძირითადი ადგილი ''დეფიციტს'' უკავია, ანუ რისი გაკეთება არ შეუძლია ადამიანს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ორ ერთნაირ სსსმ პირებს შესაძლოა განსხვავებული სახის შეზღუდვები ჰქონდეს, ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ადამიანი არ იყოს უნარ შეზღუდული მაგრამ თავისი ასაკის შესაბამისად ვერ ახერხებდეს საკუთარი უანრების რეალიზებს და გახდეს ინვალიდი. სწორედ ამიტომ მრავალი ქვეყანა თვლის, რომ სპეცალიარული სასწვლო გარემოს შექმნა ასეთ ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას. განსხვავებული საგნმამანთლებლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვებულ მიდგომებს მოითხოვს. განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითველბა თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიმღებლობა გააჩნია და შესწევს უნარი შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალებს ინკლუზიური განათლების დამკვიდრებისთვის;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი გარემოებები და საჭიროებები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყევტი განვითარებით ამ მიმართულებით;
- სკოლამ უნდა უზრნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნა და საჭიროებიშ შემთხვევაში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

ყველა ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად უნდა იყოს ასახული განათლების ეროვნული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სფეროში ქვეყნები ხელმძღვანელობენ UNESCO- ს “განათლება ყველასათვის” რომლის მიზანია:

- მიიღოს ცოდნა მრავლფეროვანი, მოქნილი, აკადემიური და სოციალურ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების მეშვეობი;
- სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს სკოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში;

- იყოს თანასწორუფლებიანი მოსწავლ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით განახორციელა სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანი იყოს:

1) სსსმ ბავშვთა ეროვნული მოდელის შემუშავება;

2) სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება;

3) სსსმ ბავშვის იდენტიფიკაციისა და მისი საგანმანათლებლო საჭირობების შეფასების ინსტრუმენტის (ტესტების) შერჩევა;

4) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მოსწავლეების იდენტიფიკაციას და შეფასებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა;

5) 10 საპილოტე სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესის გასაუმჯობესებლად ხელშემწყობი აქტივობების დაფინანსება: სკოლებში სსსმ მოსწავლეთა განათლების სპეციალისტების დაფინანსება, სკოლების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება, სკოლების ტრანსპორტირებით, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და თვასაჩინოებებით უზრუნველყოფა.

6) სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

გარდა ხსენებული ამოცანიბის ინკლუზიურ სწავლებას აქვს სახეები, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული სკოლაშ სწავლებისას ესენია: სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

- სრული ჩართვა- ნიშნავს, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირი სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესსში, ესწრება უკლებრივ

ყველა გაკვეთილს და ყოველ გაკვეთილს აქვს თავისი შესაძლებლობისთვის გათვალისწინებული სასწავლო გეგმა;

- ნაწილობრივი ინკლუზია- განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე შერჩევით ესწრება გაკვეთილებს, თავისი შესაძლებობიდან გამომდინარე. მსგავსი სწავლება საკმოდ მოქნილი მეთოდია ვინაიდან იგი ემსახურება: ა)მოსწავლის ეტაპობრივ ჩართვას საგაკვეთილო პროცესსში ბ) მოსწავლის შეგუებასა და თანდათან ადაპრირებას გარემოსთან გ) მოსწავლისთვის საკმარისი დროისა და სივრცის უზუნველყოფას თანატოლებთან კონტაქტის დასამყარებლად. ნაწილობრივ ინკლუზიური სწავლებისას შემუშავებული უნდა ინას მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დეტაულარად აღწერს და განსაზღვრავს სსმ ბავშვის განათლებას;

- ინტეგრირებული სწავლება- ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ერთად, ერთ კლასსში არიან გაერთიანებული და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. მოსწავლეები გარდა სწავლისა ჩართულნი არიან სხვა და სხვა ტიპის აქტივობებში: ექსკურისა, გამოფენა, ზეიმი და სხვა,

ინკლუზიური განათლების სახეებზე როცა ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა გამოვყოთ რესურსის ოთახი - არის სკოლაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლისთვის განკუთვნილი ყველა ხელშემწყობი თვალსაჩინოებებით და ტექნიკით. (ადაპტირებული ავეჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო აპარატურა და სხვა)რესურესბი

ოთახს შესაძლოა ემსახურებოდეს: სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი, ლოგოპედი და ყველა ის მასწავლებელი , რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო მქონე მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების პროცესსში მონაწილეობს.

სპეციალური საგანმათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოში წარმატეით ჩართულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. სკოლის ადამინსიტრაცია, მასწავლებელები, მოსწავლეები, მშობლები და საზოგადოება. ამიტომ აღნიშნუილი საჭირობის მქონე ბავშვებისთვის აუცილებელი პირობაა ის, რომ მივიღოთ ისეთები როგორბიც არიან, გავხადოთ ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, სკოლისთვის ჩვეულებრივი მოსწავლე და კლასელებისთვის მეგობარი. მშობელი ყველანარად უნდა ცდილობს, თავისი შვილის ჩართვას სხვა და სხვა აქტივობაში ვინაიდან ყოველი ადამიანი განსაკუთრებით კი, ყოველი ბავშვი არისუნიკალური.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა, პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებული პირთათვის პროგრამაში ჩართვა და პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხვა ხორცილდება განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული ტესტირებით, რომ დადგინდეს რამდენად შეესაბამება მსურველ აპლინკანტთა უნარები მათთვის სასურველ საგანმანათლებლი პროგრამას. პროფესიული პროგრამის მიმართ მსურველთა დიდი დაინტერესების შემთხვევაში, სისტემაში პირველ რიგში ტესტირებაში საუკეთესო შედეგების მქონე პირები ირიცხებიან. ამავდროულად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ითვალისწინებს მოცემულობას: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას. თუ სხვა აპლიკანტები სასურველ პროფესიაზე ხვდებიან ტესტირებით, განათლების სამინისტრომ სსმ პირთათვის დაუშვა ის გამონაკლისი, რომ აღნიშნულ პირებს უფლება აქვთ საკუთარი უნარები მოსინჯონ სხვა და სხვა სფეროში და აირჩიონ ის ერთი კონკრეტული, რომელიც

უფრო შეესაბამება მათ მონაცემებს და შესაძლებლობებს. ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესში გადამწყვეტია დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა და როლი, რადგან ის მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასწავლებლის შიდა ატმოსფეროს და კულტურას. ადმინისტრაცია ვალდბეულია ხელი შუწყოს და გააუმჯობესოს სსმ პირების სწავლის ხარისხი. ყურადღებით გაეცნოს სტუნტთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს. მოიძიოს საერთაშორისო პარტნიორები და მრავალფეროვანი გახადოს სწავლებსი ხარისხი და რათქმაუნდა აწარმოოს მონიტორინგი. პროფესიული განათლების მასწავლებელი უმთავრესი პირია სტუდენტის სწავლასწავლების პროცესში, ის ხელს უწყობს სტუდნეტს განავითაროს პროფესიული უანრები და მოამზადოს იგი სამომავლო დარგისთვის. პროფესიული გაანთლების მასწავლებლი თავადვეა თავისი სასწავლო საგნის მოდული და ყვეაზე კარგად იცის რომელ სტუდნეტს რა ესაჭიროება. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სტუდენტთან ერთად გეგმავს საჭირო სწავლების კურსსა და მოდელს. ატარებს , როგორც გუნდურ ასევე ინდივიდუალურ საჭირო გაკვთილებს. მჭიდროდ ურთიერთობს სხვა მასწავლებლებთან, ფსიქოლოგთან და ოჯახთან და მათთან შეთანხმებულად გეგმავს ახალ აქტივობებს. გარდა პროფესიული გაანთლების დაუფებისა სპეციალური საჭიროების მქონე პირებს ასევე უფელაბ აქვს სხვა აბიტურიენტებთან ერთად გავიდნენ და ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდა მაგრამ რა თქმა უნდა გარკვეული შეაღვათებით.

ინკლუზიური სწავლების განხორციელებისთავის საჭიროა მონიტორინგი, რომლის მაზანია სწავლის გაუმჯობესება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტი პასუხისმგებელია რომ რეგულარულად ჩაატაროს მონიტორინგი იმ სკოლებში სადაც სწავლობენ სსსმ პირები. მონიტორინგის ძირითადი მზიანი არის ის, რომ დარწმუნდნენ მასწავლებლის კვალიპიკაციაში და სასწმლო პროცესის სწორ წარმართვაში.

ვფიქრობ ზემოთ ხსენებული ინფორმაციის გარდა მაინც ბევრი რამ არის განსახორციელეებლი იმისთვის, რომ ინკლუზიურმა განათლებამ სასურველი შედეგი გამოღოს. იმისთვის რომ ხარისხიანი განათლება ყველა ბავშვისთვის გახდეს ხელმისაწვდომი, უნდა შემუშავდეს სსსმ ბავშვთა სრული აღწერა ქვეყნის მასშტაბით. რეგიონებმა და ქალქებმა უნდა შეიმუშავონ მოდელ სადაც თავმოყრილი ექნებათ ინფორმაცია სსსმ პირთა შესახებ. რომ უფრო მარტივად მოახდიონონ მათი დახმრება და საჭიროების გაწევა. უნდა გაიხსნას უფრო მეტი სპეციალური სასწავლებლები განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში და სოფლებში. სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნების სტანდრტები და მიდგომები სპეცილაური საჭირობის მქონე პირთა განათლებისთვის. მოიზიდონს სხვა დამტებითი სახსრები რადგან არცეთი სსსმ პირი არ დარჩეთ საჭირო რესურსებს მოკლებული.

3.7 მასწავლებლის გამოცდები

სიტყვა პედაგოგიკა წარმოსდგება ორი ძველბერძნული სიტყვისგან (პიდას- ბავში, აგოგოს- ტარება) და სიტყვასიტყვოთ ნიშნავს ბავშვის ტარებას, ბავშვზე გაძღოლას. ძველ საბერძნეთში პედაგოგს უწოდებდნენ მონას, რომელიც ბავშვს დაატარებდა სკოლაში და მეთვალყურეობდა. შემდგომ სიტყვამ შეიცვალა წოდება და პედაგოგი ეწოდებოდა იმ ადამიანს ვინც ბავშვს ზრდიდა და ამზადებდა ცხოვრებისთვის. ყველა მეცნიერებას თავისი კვლევის საგანი გააჩნია. აქედან გამომდინარე პედაგოიკის, როგორც მეცნიერების საგანია ბავშვი აღზრდა, სწავლება და მისი პიროვნებად ჩამოყალიბება.

მოგვიანებით სიტყვამ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს პედაგოგს ვუწოდებთ სიტყვას ვინც ასწავლის და ზრდის ბავშვს სკოლაში ან სკოლანდელ დაწესებულებაში. სიტყვა ‘’მასწავლებელი’’ გაჩნდა მაშინ, როდესაც კაცობრიობამ შეიგნო, რომ ცოდნის და სწავლი გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება. მოსწავლის განვითარებაზე და სწვალის შედეგებზე ძირითადი ფაქტორი მაინც

მასწავლებელია. მასწავლებელს და სკოლას აკისრია ის მოვალეობები, რომელიც მოსწავლეს გაუკვალავს პირველ ნაბიჯებს, შესაბამისად სასურველი შედეგი, რომ მივიღოთ აუცილებალია განათლების სისტემაში სწორი გადაწყვეტილებების დანერგვა და სასწვლო პროცესისთვის სასურველი კანდიდატის დაყენება. სწავლების განვითარებამ საქართველოშ დიდი გზა განვლო. საქართველოს განათლების სისტემაში მასწავლებელთა განვითარების ეტაპები შეიძლება შემდგენაირად დაიყოს: საბჭოთა დროინდელი მასწავლეებელი და სწავლის სისტემა, საბჭთა სისტემის დაშლის შემდგომი სწასწვლო მახასითებლები, 2004 წლიდან ახალი სასწვლო სისტემის დანრგვა და 2007 წლიდან სიახლების შემოღება განათლების სისტემაში რომელიც დღემდე გრძლედება.

პირველ ეტაპზე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიმართულებით მუშაობას ძირითადად წარმართავდა სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი, რომელიც 2006 დაარსდა. იმისთვის, რომ მასწავლებლებს არ გასჭირვებოდათ ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება.

2007-2008 სასწავლო წელი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეების წელი იყო მასწავლებლის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. გასანუკთრებით კი მინდა გამოვყო 2 მიმართულება ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირების ტრენინგ-პროგრამა და ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ტრენინგ-პროგრამა. გასათვალისწინებლია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პროგრამებში მონაწიულების მიღება შეეძლოთ საჯარო სკოლის ყველა ქართულენოვან და არაქართულენოვან მასწავლებლებს. ტრენინგები იმართებოდა რეგიონის ყველა სკოლა-ცენტრებში. 2008 წელს დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და „ზოგადი განათლების შესახებ— კანონის მიხედვით, აკრედიტაციისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრებმა შეიმუშავეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულება.

საქართველოში გატარებულ რეფორმებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და რადიკალური მასწავლებლის სერთიფიცირების შემოღება იყო. 2010 წელს დაიწყო პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები დაიწყო მუშაობა სტანდარტის ახალ ვარიანტსა და პედაგოგის განვითარების ახალ სქემაზე, რომლის შეცვლილ ვარიანტზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს.

2012 წლიდან განათლების სფეროში განხორცილდა ცვლილებები რომცლი მასწავლებლის ახალ პროფესიულ სტანდარტებთან იყო დაკვშირებული. სკოლა მასწვლებლისგან მოითხოვდა ახალ მიდგომებს, რომლებიც განსხვავდებოდა ძველი ტრადიცული სწავლებისგან მაგალითად: ადრე მასწავლებელი აწვდიდა მოსწავლეს მზა ცოდნას, რომელიც უკან უბრუნდებოდა, რომლშიც მოსწავლეების ნაწილი იყო ჩართული. იმ მოსწავლეების ნაწილი რომელიც მსგავსი ტიპის საგვეთილო პროცესსში ერთვებოდა აქტიური ეწოდებოდა, ხოლო ვინც არ ერთვებოდა პასიური. სწორედ ეს მიდგომები შეცვალა სკოლამ, არცერთი მოსწავლე არ უნდა დარჩეს პასიურ მდგომარეობაში მასწვლებლმა უნდა მოახერხოს ის, რომ საგკვეთილო პროცესი გახადოს საინტერესო და ეგექტური ამისთვის კი უნდა მიმართოს შემდგომ ხერხებს:

- ჯგუფური აქტივობანი;
- მოსწავლის აქტიური როლი;
- მასწავლებლის ხელშემწყობი როლი;
- მოსწავლის ინტერესის გათვალისწინება
- დასჯის, გამოცდის, დაზუთხვის არარსებობა;
- აღმოჩენის და დამოუკიდებლად სწავლის სტიმულირება;
- ყოფა-ცხოვრებასთა დაკავშირებული შინაარსი;
- შინაგანი დისციპლინის სტიმულაცია.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ'' „საქართველოში მასწავლებლები 4 კატეგორიად იყოფიან: **პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი. პრაქტიკოსია** მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად. **უფროსია** მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს, როგორც პრაქტიკოსის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ასევე, აქვს შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები. წამყვანია პედაგოგი, რომელიც აკმაყოფილებს როგორც უფროსი პედაგოგის მოთხოვნებს, ასევე, პრაქტიკული კვლევის საფუძველზე, შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს და შედეგებს უზიარებს კოლეგებს. **მენტორ** მასწავლებელს, ის გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს წამყვანი პედაგოგის ყველა მოთხოვნას, ასევე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებსა და დამწყები მასწავლებლების პედაგოგიურ პრაქტიკას. მასწავლებლების ხელფასი კი მათი პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის შესაბამისად განისაზღვრება, ასევე საგაკვეთილო საათების რაოდენობაზეც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ განათლების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული მასწვლებლის კავლიფიკაციაზე. მასაწვლებლის გამოცდების შემოღებას თავდაპირველად დიდი მითქმა მოთქმა მოჰყვა, ძველი პედაგოგოები ამ ამბავს უარყოფითად შეხვდნენ რადგან მაიჩნდათ, რომ ის სტაჟი რაც სკოლაში აქვთ გატარებული გამოცდებით გადამოწმებას არ საჭიროებდა. მაგრამ აქ იყო მეორე ფაქტორიც, ვინც გაივლიდა გამოცდას იმას ხელფასიც მოემატებოდა და მათი შრომა უფრო დაფასდებოდა. სეთიფიცირებაზე გასვლა და გამოცდების დაძლევა ახალგაზრდა პედაგოგობს არ გასჭირვებიათ ალბათ გამოცდებს და სიახლეებს შეჩვეული უფრო მარტივად გაართვეს თავი დანერგილ სიახლეს. რასაც ვერ ვიტყვით მოქმედ მასწავლებელბზე, რომლთაც დიდი ხნის გამოცდილება აქვთ

სამწუხაროდ აღნიშნული მასწავლებლებლის საკმაოდ დიდმა რაოდენობამ ვერ მოახერხა მასწავლებსლის გამოცდის კომპეტენტური ზღვარის გადალხვა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მასწავლებლსი სტატუსი შეუჩერდათ.

ასევე გასათლიწინებლია ის ფაქტი, რომ ხელფასის მომატებით ახალგაზრდების ყურდღება მიიპყრო პროფესია მასწავლებლობამ. გასული წლეებში მასწვლებლობა არ იყო სასურვეული პროფესია და დეფიციტი შეიმჩნეოდა, ახალგაზრდების ყურადღება უფრო ტექნიკური ან ეკონომიკური პროფესიებისკენ იყო მიმართული. განათლებაში გატარებულმა პროცესებმა კი დააინტეერსა ახალგზრდა თაობა, რომ გამხდარიყვნენ მასწავლებლები. პედაგოგოების მისაზიდად სკოლამაც უნდა გაითვალისწინოს რიგი რეკომდაციები მაგალითად, მასწავლებსლისთვის სამუშაო პრცესი და გარემო გახადოს ხელმისაწვდომი, მასწავლებელს ჰქონდეს მშვიდი და ხელსაყრელი გარემო მშვიდად მუშაობისთვის. სკოლის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მასწავლებელთა კორპუსის შენარჩუნებას. სკოლამ შეიძლება წარმატებით მოიზიდოს კვალიფიციური პედაგოგები, მაგრამ თუ შესაბამის სამუშაო პირობებს არ შეუქმნის, ეს წარმატება შეიძლება არასასურველი შედეგებით დამთავრდეს და მასწავლებლებმა სკოლა დატოვონ. ყოველი ადამიანი ერთმათისგან განსახვევბულია ჩვენს გარშემო არიან ششم პირები, რომლებსაც აქვთ უნარი დაეუფლონ პროფსეიებს, გამორიცხული არაა, რომ რომელიმე მათგანი იყო პედაგოგი და თუ მათ ხელსაყრელ გარემოს სკოლა ვერ შეუქმნის ვერ შეძლებს მუშაობას. სკოლის წარმატებასა თუ წარუმატებლობას მნიშვნელოვანწილად პედაგოგების მუშაობა განსაზღვრავს; რაც უფრო მოტივირებული იქნება პედაგოგი, მით უფრო წარმატებული იქნება იგი ასევე მასწავლებლს მჭიდრო მეგობრული კავშირი უნდა ჰქონდეს მოსწავლეებთან.

IV ახალი საგანმანათლებლო გამოწვევა - კორონა ვირუსი

4.1 განათლება პანდემიის პერიოდში.

მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო ცხოვრების ახალი რეალობის წინაშე დააყენა COVID-19-მა. დედამიწაზე გავრცელებულმა ''კორონავირუსმა'' სრულიად შეცვალა ადამიანების ცხოვრების დღის რეჟიმი და ცხოვრების წესი. ვირუსმა ყველა და ყველაფერი გააჩერა, თითქოს დროც კი გაიყინა. ფუნქციონირებას მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები განაგრძობდნენ. კარატინმა და თვითიზოლაციამ მთელი მსოფლიო მოიცვა, ადამაინები იძულებელი გახდნენ ადაპტირებულიყვნენ ახალ რეალობასთან და მუშაობის თუ სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასულიყვნენ. განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე საგანმანათლებლო სექტორი დადგა, რადგან რთულია თვეობით გააჩერო ბაღები, სკოლები, უნივერსიტეტები, სხვა და სხვა კერძო სასწავლებლები, ტრენინგ ცენტრები და ა.შ. კორონა ვირუსის გამო სასწავლო დაწესებულების დახურვა მსოფლიოს მოსწავლე-სტუდენტთა 60%-ს შეეხო. იუნესკოს 2020 წლის 31 ივნისის მონაცემებით მილიარდზე მეტ მოსწავლესა და სტუდნეტს შეუფერხდა სწავლა. 55 ქვეყანაში ნაწილობრივ ლოკარიზებულად დაიხურა სასწავლებლები. 49 ქვეყანაში სწავლა ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობდა შეზღუდვების გარეშე.

კოვიდ-19 ის პანდემიამ ახალი რეალობის წინაშე დააყენა განათლების სისტემა ან უნდა შეეჩერებინათ სასწავლო პროცესი ხანგრძლივი დროით, ან სწავლა გაეგრძელებინათ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პირობებში, ამიტომ მსოფლიოს ორგანიზაციბმა გადაწყვიტეს შეემუშავებინათ ონლიან სწავლების ახალი მეთოდი. ონლაინ სწავლება რთული აღმოჩდა ისეთი სექტორისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ მატერიალ-ტექნიკური ბაზა თავიანთი მოსწავლე/სტუდენტებისთვის. ასევე ონლაინ განათლება განსაკუთრებულით რთული იყო იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც არ გააჩნდათ დისტანცური სწავლებისთვის საჭირო ტექნიკა, ან არ ჰქონდათ პირობები.

განათლების დისტანციური მიღება ყველაზე მძიმე ასევე მაღალმთიანი რეგონებსითვის და გარკვეული სოფლებესთვის აღმოჩნდა რთული, რადგან გარდა ინტერნეტის პრობელიმსა და სოციალურად გაჭირევებული ოჯახებისა, დიდ პრობლემას წარმოადგენდა მატერიალური ტექნიკა.

ტრადიცულ სწავლენასთან განსხვავებით, სწავლის და ცოდნის მიღების ბევრი გზა მანამდეც არსებობდა და ამ ცოდნის აღმნიშვნელი ტერმნები ასე თუ ისე ყველას მაინც ჰქონდა გაგებული მაგალითად: დისტანციური სწავლება (distance education) ონლაინ სწავლება (online education) შერეული სწავლება (blended learning) პანდემიამ კი ეს ტერმინები მსოფლიოს თითოეული მოქალაქისთვის აუცილებელ პირობად აქცია. სკოლების დახურვამ მოსახლეობაში დიდი ქაოსი გამოიწვია მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ სკოლების დახურვა ბავშვს მრავალი რისკის ქვეშ , რაც უფრო დიდხანს დაიკეტება სკოლები ბავშვების სწავლის ხარისხი უფრო და უფრო გაურესდება, რაც თავის მხრივ ბავშვების მომავალ ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს, იმისადა მიხდევით თუ როგორია ბავშვის ასაკი და მგომარეობა. ეს საკითხი ყველაზე მწვავე ალბათ მაინც დაწყებითი კლასაის მოსწავლეებისთვისაა რადგან ონლაინ გაკვეთილებით რთულია ბავშვმმა სწორად გაიგოს სკოლის და სწავლის დანიშნულება.

საქართველოში კორონა ვირუსის პირევლი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელებსათან ერთად, როცა ეპიდ ვითარება მძიმდებოდა და უკონტროლო ხდებოდა დაწესებულებების დაკეტვა ეტაპობრივად მოხდა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს მასშტაბით 4 მარტიდან სწავლა ყველა საგანამათლებლო დაქესებულებაში შეწყდა. მუშაობა შეწყვიტა ასევე ბიბლიოთეკებმა , თეატრებმა, მუზეუმებმა და ყველა თავშეყრის ადგილებმა და საჰაერო ფრენებმა. სკოლის დახურვა და დისტანციურ სწავლების რეჟიმზე გადასვლა საკომოდ დიდი ძალისხმევას მოითხოვდა ამიტომ. საქართველოს განათლებისს, მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრომ დიდი შრომა გასწაია, რომ შეექმნათ ახალი აპრობილებული საგანამათლებლო პლათფორმა, შექიმა Teams

აპლიკაცია სადაც ხდებოდა მოსწავლე მასწავლებლის დაკვშირება სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით. ასევე სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიქმნ სატელევიზიო გაკვეთილები. საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად უზრუველყო მაღალმთიანი რეგიონები და სოფლები ინტერნეტითა და ტქენიკით განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის ნაწილი. რეგიონების და სოფლების სკოლები აღიჭურვა კომფიუტერული ტექნიკით, სდაც ბავშებს შეეძლოთ მისვლა და ონლაინ გაკვთლებ ზედასწრება.

ვინაიდან პანდემია ჯერ არ დასრულებულა და როდის გამოჯანაღდება მსოფლიო უცნობია, რთულია ზუსტი სტატისტიკის და კვლევის გაკეთება შედეგებზე. ვირუსის ტალღები 2020 წლის თებრევლიდან მომდინარეობს და არავინ იცის რა შედეგს მივიღებთ კორონა ვირუსის სრულ აღმოფხვრამდე. ერთადერთი იმის თქმა შეიძლება, რომ სამყარო არასდროს იქნება ისეთი, როგორიც იყო. ვირუსმა სრულიად სხვა თვალით დაგვანახა ყველაფერი და ადამიანებს ბევრი რამის გადაფასება მოუწიათ, ყოველ შემთხვევაში მივხდით იმას, რომ ყველაფრისთვის უნდა ვიყოთ მზად და ყველაფერი არის მოგავრებადი თუ ადამიანს შესაბამისი უნარი, განათლება და შესაძლებლობა გააჩნია.

4.2 სასწავლებლების სტატისტიკა

საბოლოო დასკვნის სიხით მინდა წარმოგიდინოთ თუ, რამედენი კერძო და რამდენი სახელმწიფო ზოგადსაგანმათლებლო და კერძო სასწავლებებელია საქართველოშ 2021 წლის მონახემებით. ინფორმაცია მომაწოდა განთლების,მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	**2021 წელი**
სახელმწიფო	19
კერძო	45

პფოფესიული დაწესებულებები	**2021 წელი**
სახეკმწიფო	39
კერძო	51

V. სოციალური კვლევა

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობის მიზნით , ჩავატარე სოციალური კვლევა. კვლევა ჩატარდა Google-ის საანკეტო ფორმით. კვლევა მოიცავს თექვსმეტ კითხვას, რომელთაგან 13 დახურულია 3 ღია. კვლევაში გადმოტანილია ღია კითხვებისნაწილი.

ქვემოთ მოცემულია კვლევის კითხვარი კვლევის მიზანია, გავიგოთ საზოგადოების აზრი- განათლების რეფორმების ასპეკტებთან დაკვშირებით. პირველად განვიხლოთ დახურული კითხვები, რომლებიც წარმოდგენილია **დიაგრამების სახით.**

1. სქესი



2. ასაკი



3. განათლება



7. რა არის სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლების პრიორიტეტი?



8. სასწავლო დაწესებულებებისთვის უმთავრესია?



9. რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სასწავლო დაწესებულებებში?



10. თქვენი აზრით რა ტიპი/ტიპების რეფორმის გატარება არის აუცილებელი?



11. სასწავლო დაწესებულებეს აკლია?



12. საგანმანათლებლო რეფორმის მიხედვით, პედაგოგებს უწევთ სასერთიპიკატო გამოცდის ჩაბარება, რამდენად ეთანხმებით მსგავს მიდგომას?



13. რეფორმები, რომელებიც მიმდინარეობს განათლების სისტემაში?



15. იღებენ თუ არა ხარისხიან განათლებას სასწავლო დაწესებულებებში?



დიაგრამების სახით წარმოდგენილი კითხვარის კვლევის შედეგები გვიჩვენებს იმას, რომ საქართველოს განათლების რეფორმირებისათვის უფრო მეტი რამ უნდა გაკეთდეს ხარისხიანი შედეგისთვის. დიაგრამის პროცენტული წილიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა თვლის, რომ განათლების დონე საშუალო დონისაა და თუ გვინდა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება საქართველოს ხელუსფლებამ უნდა აიღოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითი და განათლების რეფორმირების საკითხში დანრგოს სიახლეები ეს ყველაფერი კი მიიღწევა გადაწყვეტილებების ოპერატიულობით და სწავლის ხარისხის ხშირი მონიტორინგით. დიაგრამიდან

ნათლად ჩანს, რომ სახლემწიფოს დიდი როლი აკისრია განათლების სწორხაზოვნად წარმართვაში კვლევიდან ნათლად იკვლევა ის საკითხები, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწომ იმისათვის, რომ უფრო ხარისიხნია განათლება მივიღოთ ეს საკთხებია: 1 სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს განათლების მიღების აუცილებლობა ყოველი მოქალაქისთვის. 2 სასწავლო დაწესებულებები უნდა აღიჭურვოს შესაბამისი ინვენტარით, რომ განათლების მიღება ყველასთავის იყოს თანაბარი. 3 სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს მაღალმთიანი სოფლების და რაონების განათლების ხარისხზე და 4 ხშირი მონიტორინგი განახორციელოს სასწავლო დაწესებულებებში.

*რესპოდენტების პასუხი **ღია კითხვაზე** მოცემულია დანართში.*

რაც შეეხება რესპოდენტებსი პასუხებს ღია კითხვებზე, საინტერესოა აზრთა სხვადასხვაობა. უმრავლესობის აზრით ტერმინი თუ რა არის განათლება? კვლევის შედეგებიდან კარგად ჩანს, რომ ეს არის ძლიერი სახლმიწოფოს საწინდარი. სწორედ განათლება აყალიბებს ადამიანს პიროვნებად. განათლებული და ერუდირებული ერი კი ყველაფერს გაუმკლავდება. ხარისხიანი განათლების მისაღებად კი სახლემწიომ უნდა შეიმუშაოს თანამედროვე სტანდარტები. უკუაგდოს მოძველებული სისტემა, აღმოფხვრას ნეპოტიზმი და სასწავლო დაწესებულებებში ჩაატაროს ხშირი მონიტორინგი. კვლევიდან ჩანს, რომ დღევანდელი პრობლემა განათლების ხარისხის დეფიციტია, ეს ყველაფერი კი გამოწვეულია არაკვალოფიცირებული კადრებით. განათლების სამინისტრომ სასწავლო დაწესებულებები მკაცრად უნდა აკონტროლოს და შექმნას ყოველი პირობა იმის, რომ სკოლებსა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებში საზოაგდოებას ექნება საშუალება მიიღოს ხარისიხნია განათლება. კვლევინდა ნათლად ჩანს და იხატება წიგნიერი თაობი დეფიციტი, რესპოდენტები თვლიან, რომ დღევანდელ ახალგაზრდებს წიგნი არ აინტერესებს და გატრდეს ისეთი, რეფორმები, რომელიც დანრგავს უფრო მეტ წიგნის სიყვარულს. განათლების

ერთ-ერთი უმთვრესი იარაღი ხომ წიგნია და ეს გასაკვირი სულაც არ არის. რაც მეტი წიგნიერი ახალგაზდობა ეყოლება საზოგდოებას მეტი ჯანსაღი აზრი იარსებებს.

განათლების რეფომის მწარე რეალობად რესპოდენტებს მიაჩნიათ კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი, მოტივაციის სიმცირე მოსწავლეებში და ისეთი რეფორმა, როგორიცაა მე-12 კლასი. გამოკითხული რესპონდენტები ფიქრობენ, რომ მე-12 კლასი მოსწავლეს აკარგვინებს წელს და არაფერი მნიშვნელოვანი არ ისწავლება. მწარე რეალობად ასევე დასახელებულია დისტანციური სწავლება, რომელიც კორონა ვირსუსის დროს არის დანერგილი, გამოკითხულთა უმრავლესობა აანალიზებს და ესმის ვირუსის გავრცელებსთან დაკვშირებული საფრთხეები, თუმცა დადებითად ვერ აფასებს დისტანციური სწავლებით მიღებულ ცოდნას. უმრავლესობის აზრით კი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს რიგი, იმ რეფორმებისა, რომელიც გამოაცოცხლებს განათლების სისტემას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-განათლება ყოფილა ძლიერი სახლმწიფოს შექმნის წინაპირობა და ადამიანში პიროვნებად ჩამოყალიბების საწინდარი. განათლების გარეშე ადამიანი ფაქტობრივად ვერ იარსებებს. ამიტომ განათლების მიღების შესაძლებლობა ყველას თანაბარი უნდა ჰქონდეს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განათლება რეფორმების გარეშე ვერ იარსებებს. სიტყვა რეფორმა კი გარკველ წილად სიახლესთანაც შეგვიძლია გავაიგივოთ. განათლების სისტემაში გატარებული რეფორმა შეძლება სახარბიელო არ აღმოჩდენდეს, მაგრამ გამარჯვება არ არსებობს მარცხის გარეშე. თუ არ ვცდით, ვერც გავიგებთ განათლების სისტემაში გატარებული რეფორმა კარგი იქნებოდა თუ ცუდი. განათლების სისტემის სწორი რეფორმირებისათვის ვფიქრობ, რომ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა იზრუნონ მომაბალი თაობის განვითარებისავის, ხელი შეუწყონ და განახორციელონ მეტი სოციალური პროგრამა, აქტიურად ითანამშრომლონ და იხელმძღვანელონ მაღალგანვითარებული სახლმწიფოების ორგანიზაციებთან, აიღონ მაგალითები და სასწავლო სისტემაში დანერგონ ხარისხიანი პროგრამები.

ნაშრომში წარმოდგენილია განათლების სისტემის რეფორმების მიზნები და ამოცანები, აღწერილის სასწავლო დაწესებულების თითოეული რგოლის დანიშნულება და მათი როლი სასწავლო პროცესსში. ასევე აღწერილია სახელმწიფოსა და სასწავლო დაწესებულებების ურთიერთკავშირი. სახელმწიფო, განათლების სისტემა და საზოგადოება არის ერთი მთლიანი ნაწილი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თაობათა გაზრდა და განვითარება.

ნაშრომში ასახულია კვლევა, რომლის მიხედვით გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ესენია: სასწავლო დაწესებულებებში საკადრო ცვლილები შესაბამისი კვალიფიკაციით, საგანმანათლებლო სტრუქტურების ატიური თანამშრომლობა საზოგადოების კონტიგენტებთან,

მიმდინარე რეფორმელბის შეფასება-ანალიზი, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და ხარისხინაი სასწავლო პროცესის მოდელირება.

დასკვნის სახით ასევე შეიძლება ითქვას, რომ განათლება არის ერის ნათელი მომავალი და ძლიერი სახლმწიფოს გარანტი; განათლება არის თავისუფლი, მოაზროვნე, ერუდირებული, ეროვნულ ღირებულებებზე ორიენტირებული გარანტი ადამიანის მოქალქედ ჩამოსაყალიბებლად; განათლება არის ეკონომიკურად წელში გამართული სახლმწიფოს საწინდარი. განათლებული და ჯანსაღად მოაზროვნე ერი განვითარებული მომავლის საწინდარია.

წარმოგიდგენთ დანართებს.

6. როგორ გესმით ტერმინი განათლება?

განათლება ჩემთვის არის, სიძლიერე.
ადამიანის ფუნდამენტალური უფლება სრული განვითარებისათვის.
განათლება არის აუცილებელი პირობა ჯანსაღი აზროვნებსითვის.
განვითარება,გამოცდილება,შესაძლებლობა
ძლიერი სახალმწიფოს გარანტი
სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი
აზროვნება, დედუქცია, ყოველდღიურობის და მომავალი დღის აღქმა

განათლება ეს არის უმნიშვნელოვანესი, საბაზისო რგოლი ადამიანის ცხოვრებისა და განვითარების ჯაჭვში

განათლება არის ის სფერო საიდანაც ჩვენ ვხდებით განვითარებულები და გვეხმარება ჩვენი მიზნების მიღწევაში. და ამით ჩვენ ვართ წარმატებულები.

მიღებული და გააზრებული ზოგადი და სპეციალური იწფორმაცია, რომლის გამოყენება შეუძლია ადამიანს პრაქტიკული და თეორიული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად

შინაგანი თავდაჯერებულობა და ცხოვრების ყველა ეტაპზე გაუმკლავდე სირთულეებს დამოუკიდებლად. თვითრწმენა.

განათლება არის ნათელი მომავალის საწინდარი

სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ.

ადამიანის ფიზიკური, უნტეკექტუალური და მორალური უნარ_ჩვევების განვითარება

14. თქვენი დაკვირვებიან გამომდინარე, რას მიიჩნევთ თანამედროვეობის მწვავე რეალობად განათლების სისტემში?

მოძველებულ სისტემას

.

ganatlebis done

დეფიციტია ჯანსაღი აზროვნების. სწორი აზრის მიწოდება კი უნდა ხდებოდეს ჯანსაღ გარემოში. აუცილებლად ჯერ უნდა გადამოწმდეს სახელმძღვანელოები.

არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას

ჩვენს ქვეყანაში განათლების დონე, მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, ძალიან დაბალია! სწორედ ამიტომ, დაიწერგოს უნდა მეტი იწოვაციური რეფორმები,საგანმანათლებლო წახალისებები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები,რომლებიც ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მინიმალურამდე დაყვანას!

არასაკმარის ხარისხს იმისთვის რომ მოსწავლემ/სტუდენტმა მიიღოს საკმარისი და სრულყოფილი განათლება.

განათლების სისტემისს შეცვლა

ყველაფეის სწორად შეფასება გვჭირდება, ღირებულებების სწორად გაგება და აღქმა, უნდა გვესმოდეს რომ მნიშვნელოვანია იმას რასაც გვასწავლიან და იმას რასაც ვასწავლით. სამწუხაროდ ზედაპირულად ვუდგებით ყველაფერს განათლების სიატემაში. არ უნდა ვასწავლიდეთ ხელფასი გამო და არ უნდა ვსწავლობდეთ წიშნის გამო

ვფიქრობ ძალიან ბევრ რეფორმებს ანხორციელებენ აუქმებენ , ეს იმის ბრალია, რომ სპონტანიურად აკეთებენ ყველაფერს და შედეგებზე არ ფიქრობენ. მეტი ყურადღება გვმართებს.

კვლევითი პროცესისა და შესრულებულ საქმეზე რეფლექსიის არ არსებობის პრაქტიკა

ვფიქფობ არავინ ასრულებს თავის ფუნქციას გულით

გაზარმაცდა თაობა, რაც არ უნდა განვითარდეს ტექნოლოგია წიგნს ვერაფერი ცაანაცვლებს

1).საქართველოს არ ჰყავს კვალიფიციური ლექტორები;...2).უმაღლესდამთავრებულს,უმეტეს შემთხვევაში,არ აქვს გაარატირებული სამუშაო ადგილი;...3).ინფრასტუქტურული და ტექნოლოგიური,საგანგაშო ჩამორჩენა;...4).პოპულიზმი და "kiztch"-ი თვით სტუდენტებში;...5)."ჰუმანიტარების" სიმრავლე უნებში😊 და ა.შ.....

ბევრი რამ

გამუდმებით არაფრისმომცემ რეფორმებს

ინფორმაციის მიუწვდომლობას

გამუდმებით ცვლილებებს

დაბალი მაჩვენებელია

ალბათ ყვრლაფერს

ვფიქრობ გვჭირდება სხვა განვითარებული ქვეყენბის მაგალითების აღება. მეტი დრო და რესურსი უნდა ჩავდოთ სწავლაში. სწავლის საფასური უნდა იყოს იმდენი, რომ ყველამ შეძლოს მიღება.

"ერასმუსი" ძალიან კარგია რომ,ჩვენთანაც დაიწყო...1).მეტი გაცვლითი პროგრამებ;2).პროფესორ მასწავლებლების გადამზადება უცხოეთში მინიმუმ 2 წელი;3).სკოლის დღისწესრიგის გამკაცრება(არასაპატიო მიზეზით გაცდენაზე ფინანსური ჯარიმები)და სკოლის ავტორიტეტის ამაღლება...ასევე,ჯნსაღი და ხელმისაწვდომი კვება სკოლებში, თითოეული მოსწავლის მონიტორინგი,მათთვის მომავალი ფროფესიული განვითარების ხელშეწყობა...4).პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება....და ა.შ.

მიმდინარე რეფორმის შესახებ არ ვარ ინფორმირებული.

გაცვლით პროგრამებს გავხდიდი უფრო ხელმისაწვდომს.

გაწერილ სასწავლო პროგრამებს, სახელმძღვანელოებს

არასაკმარის ხარისხს იმისთვის რომ მოსწავლემ/სტუდენტმა მიიღოს საკმარისი და სრულყოფილი განათლება.

განათლების სისტემისს შეცვლა

ყველაფეის სწორად შეფასება გვჭირდება, ღირებულებების სწორად გაგება და აღქმა, უნდა გვესმოდეს რომ მნიშვნელოვანია იმას რასაც გვასწავლიან და იმას რასაც ვასწავლით. სამწუხაროდ ზედაპირულად ვუდგებით ყველაფერს განათლების სიატემაში. არ უნდა ვასწავლიდეთ ხელფასი გამო და არ უნდა ვსწავლობდეთ ნიშნის გამო

ვფიქრობ ძალიან ბევრ რეფორმებს ანხორციელებენ აუქმებენ , ეს იმის ბრალია, რომ სპონტანიურად აკეთებენ ყველაფერს და შედეგებზე არ ფიქრობენ. მეტი ყურადღება გვმართებს.

კვლევითი პროცესისა და შესრულებულ საქმეზე რეფლექსიის არ არსებობის პრაქტიკა

ვფიქფობ არავინ ასრულებს თავის ფუნქციას გულით

გაზარმაცდა თაობა, რაც არ უნდა განვითარდეს ტექნოლოგია წიგნს ვერაფერი ცაანაცვლებს

16. რას შეცვლიდით განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმებში?

bevr rames.

უნდა ვიკითხოთ ბევრი, ბევრი ვიმსჯელოთ. გავითავლისწინოთ განვიტარებული ქვეყენბის მაგალითები, ახალგაზდები უნდა წავახალისოთ უნდა შევუქმნათ მოტივაცია, რომ შეიგნონ განთლების გარეშე და კიტხვის გარეშე თავს ვერ დაიმკვიდრებენ.

ახალგაზდებმა უნდა იკითხონ ბევრი

კარგი იქნება თუ მაქსიმალური ყურადღება მიექცევა განათლებას!რათა სწორედ ეს განაპირობებს უკეთესს მომავალს!მეტი ინოვაციური მეთოდები და წახალისებები,რაც ხელს შეუწყობს მოზარდების დაინტერესებასა და განათლებას!

მეტი ლიტერატურა, სკოლამ აუცუილებლად უნდა შემოიღოს ლიტერტურის კითხვის კლუბი. ასევე უნდა გადამზადდეს კადრები, უნდა ვიხელმძღვანელოთ მაღალგავითარებული ქყვეყნების მაგალიტზე.

გავხდი უფრო გამჭვირვალეს, რეფოები იქნებოდა მორგებული უფრო მეტად ხარისხზე.

სწავლების ხარსხს

გავატარებდი უფრო მეტ რეფორმას, უფრო მეტად საინტერესოს

გამოცდების სტრუქტურას

მეტი კომპეტენტურობა სწავლის მიმართ

საქართველოში ძალიან მოძველობული და მომაბეზრებლად აუტანელია მასწავლებლების მიდგომა მოსწავლეების მიმართ, რათქმაუნდა ყველას არ ეხება მაგრამ ეს არის სისტემის ბრალი, რომელიც არის ძირეულად გასაახლებელი, სახელმწიფომ პირველ როგში უნდა იზრუნოს მასწავლებლების დატრენინგებაზე და სკოლებში თანამედროვე სწავლების მეთოდების შეტანაზე რაც ბევრად მეტს შედეგს მოგვცემს და ამას უნდა ჰქონდეს სისტემატური სახე და არა ერთჯერადი პროგრამის.

ბევრი რაღაცის შეცვლა შეიძლება

მიძველებულ სასწავლო სისტემას

გავაუმჯობესებდი განათლების მიღებისსათვის საჭირო შესაძლებლობებს.

ისტორია არ მიყვარდა, მაგრამ ისეთი მაგარი ისტორიის მასწავლებელი მყავდა მის გაკვეთილებზე ჯდომა ერთი ბედნიერება იყო და საქართველოს ისტორია ძალიან კარგად ვიცოდი. მათზე ბევრი რამაა დამოკიდებული თორე წამყვანი სკოლის დირექტორი დარბის არჩევნებზე ბევრი ხმა რომ ააღებინოს მართველ გუნდს მეტს არ სთხოვს არავინ არაფერს

საჭიროა მეტი კვალიფიცირებული კადრი, მასალებისა და სწავლის გეგმის სრული და მკაცრი მონიტორინგი.

იყოს მეტი მონდომება

ვერ გეტყვით, ამაზე პასუხის გაცემას მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სჭირდება

გავზრდიდი წიგნებზე მეტ აქცენტს და ნაკლებს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე. შევცვლიდი წიგნების პროგრამას ახალი ავტორებით. დავამატებდი უფრო სწორად.

თითქმის ყველაფერს

ონლაინ სწავლებას საერთოდ გავაუქმებდი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 გაგუა. ვ-სახალხო განათლება მე-19 საუკუნების რეფორმების შემდგომ საქართველოში-1974წ.

2 გაზეთი 24 საათი- 2010 წელი 18 ივნისი ოთხშაბათი -სკოლა და რეფორმა-ლევან თოროლდავა

3 გაზეთი ახალი განათლება 2020 წლის 11 თებერვალი

4 გაზეთი ახალი განათლება 2021 წლის 21 იანვარი

5 განათლების აკრედიტაციი ეროვნული ცენტრი-ხარისხიანი უმაღლესი

6 განათლების სექტორი საქართველოში- საქართველოს განათლება სექტორის მიმოხილვა 2020წელი

7 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

8 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 გვ 3-4.

9 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.

10 განათლებისთვის(წლიური ანგარიში) 2006 წელი

11 განთლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები - საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო -

12 ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები-ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2020 წელი

13 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა- ღია საზოგადოება- 2019 წელი

14 თეთრუაშვილი. ზ ილია ჭავჭავაძე: "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია" წიგნი მეორე გორი 22.02.12 – 15.10.14)

15 თავზიშვილი გ. რჩეული ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვითარების სხვა ასპეკტები- 2018 წელი

16 ინკლუზიური განათლება გზამკლევი მასწავლებლებისთვის -2009 წელი

17 ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში-სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი 2016 წელი თბილისი

18 ინკლუზიური პროფესიული და უმაღლესი განათლება -ღია საზოგადობა საქართველო (ბროშურა 2016 წელი)

19 ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა- 2009 წელი

20 კანონი ზოგადი განათლების შესახებ.

21 მიეცეს თავისუფლება სკოლებს, საქართველოს სკოლებს? -საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო-2010 წელი

22 მალაზონია დავით, შორენა მაღლაკელიძე, გიორგი გახელაძე-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი- 2016 წელი

23 მოსახლეობის ცოდნის, რისკების აღქმის, პრევენციული ქცევების და საჯარო ნდობის მონიტორინგი (კვლევა) კორონავირუსის პამდემიის ფონზე საქართველოში- 2020 მაისი

24 პანდემიაზე რეაგირების, აღდგენის და პოსტ-პანდემიური სამყაროს ახლებური წარმოსახვის ექვსპუნქტიანი გეგმა ყველა ბავშვისთვის- UNICEF 2020 წელი 20 ნომბერი

25 პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013 2020 წლები)

26 რუხაძე ნინო-ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი-2016

27 საერთაშორისო გამჭირვალება საქართველო -მიეცით თავისუფლება საქართველოს სკოლებს-2008წ

28 საქართველოს განათლების სისტემა - სამაგიდო კვლევა ირინა გურგენაშვილი

29 საქართველოს განათლების სისტემა სამაგიდო კვლევა-ირინა გურგენაშვილი 2018 წელი თბილისი

30 სემიუელ ნ. კრამერი - "ისტორია იწყება შუმერიდან". თბილისი. 1988.

31 სვ. გამსახურდია მეცნიერება და საგანმათლებლო იდეები ძვ საქართველოში 15-30გვ

32 სვიმონ ჯანაშია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა საქართველოში

33 უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები (აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით)-2008 წელი

34 ურბენილსა ნ.- მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო-1984 წელი

35 წულუკიძე ვახტანგ- პირველი ქართული სკოლა აჭარაში-გამომცემლობა აჭარა 1982წ

ელექტრონული რესურსი:

1 http://buki.ge/author-2042.html.

2 https://www.nytimes.com/1978/04/15/archives/soviet-georgians-take-to-streets-to-save-their-state-language.html. (Craig R. Whitney; Special to The New York Times)

3 https://giorgilomouri.wordpress.com

4 www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/43

5https://www.tsu.ge/ka/page/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91

6 http://www.socium.ge/index.php/articles/education/60-2012-08-07-20-16-19

7 https://edu.aris.ge/news/rodis-da-sad-gachnda-pirveli-universteti.html

8 https://idfi.ge/ge/effectiveness-of-fully-funded-faculties

9 http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18237&lang=geo

10 https://www.mes.gov.ge/content.php?id=5874&lang=geo

11 https://www.mes.gov.ge/content.php?id=8261&lang=geo

12 https://to.edu.ge/ganatlebis-axali-gamotsveva-koronavirusi/

13 https://agora.ge/new/32086-koronavirusi-da-ganatleba

14 http://mastsavlebeli.ge/?p=23922

15 https://to.edu.ge/ganatlebis-axali-gamotsveva-koronavirusi/

16 https://agora.ge/new/32086-koronavirusi-da-ganatleba

17 https://transparency.ge/ge/post/report/mietses-tavisupleba-sakartvelos-skolebs